საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— უნგრეთში გაფიცულია 2500 მაღაროს მუშა.
— ავსტრიაში 210.000 უმუშევარია.
— პოლონეთში სასტიკი ჟანდ[illegible]
— ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ [illegible] მიტინგები მოაწყო.
— ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა ჰამბურგში გრძელდება.
— გაიხსნა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

პარასკევი, 10 აპრილი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 81 (1236)

ამიერ-კავკასიის
მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოთა მესამე ყრილობა
გაიხსნება
დღეს, 10 აპრილს საღამოს 6 საათზე
რუსთაველის თეატრში

დღის წესრიგი:
1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება—მომხსენებელი ამხ. **მ. ორახელაშვილი.**
2. 1925—1926 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—მომხსენებელი ამხ. **მ. დ. გუკინოვი.**
3. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობის და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის შესახებ—ამხ. **კ. ჩხენკელი.**
4. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცება—მომხსენებელი—**ა. შავერდოვი.**
5. წითელი არმიის შესახებ—მომხსენებელი ამხ. **ა. კორკი.**
6. ამიერ-კავკასიის ცაკის არჩევნები.
7. საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.
8. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი **ა. შავერდოვი.**

საბჭოთა მესამე ყრილობა

დღეს იხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობა. წარმომადგენლები ათეული ერების, რომლებიც კულტურის სხვადასხვა საფეხურებზე სდგანან, **ინტერნაციონალის** გამაერთიანებელი ხმების ქვეშ, შეუდგებიან სახელმწიფოებრივ მუშაობას. მარტო ეს ფაქტი ათეული ერების ძმური თანამშრომლობისა იქ, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ნაციონალურ სიძულვილს, მტრობას და ხოცვა-ჟლეტას ჰქონდა ადგილი,—მარტო ეს უდავო ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ყველასათვის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია.

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ, მაგალითად, ხუთი წლის წინათ თბილისში იკრიბება ამიერ-კავკასიის ერების **„დემოკრატიული“** ყრილობა.

რამდენ „ნაციონალურ ჰიმნს“ იმღერებდნენ ყრილობის გახსნის დროს! შემდეგ როგორი ბრძოლა დაიწყებოდა სხვადასხვა „ნაციონალურ დემოკრატიების“ წარმომადგენელთა შორის! როგორი ნაციონალური მტრობის და სიძულვილის სურათი გადაიშლებოდა ყრილობაზე! როგორი სიყალბე, თვალთმაქცობის და ერთმანეთის გაუტანლობის ზღვა გადაიშლებოდა მოტყუებული „დემოკრატიული“ საზოგადოების წინაშე!

ყრილობის მუშაობის დამთავრება კი არა ერთ ომს გამოიწვევდა სხვადასხვა „დამოუკიდებელ“ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოებს შორის. რატომ? იმიტომ, რომ „დემოკრატია“ არის ზედმეტი სახელი ბურჟუაზიის, რომელიც „ეროვნული“ დროშის ქვეშ იცავს თავის საკუთარ ინტერესებს. სომხეთის „დემოკრატიამ“ ვერ გამონახა „საერთო ენა“ საქართველოს „დემოკრატიასთან“, რადგან ამ ერების წვრილ და მსხვილ კაპიტალისტებს მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთთან.

საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ მენშევიკურ, დაშნაკურ, მუსავატისტურ „დემოკრატიის“ დროს,—ერის გზებს გახსაზღვრავს ბურჟუაზია, ამიტომ ეს გზები არასოდეს არ ერთდება, არამედ აუცილებლად ეჯახება ერთმანეთს.

საბჭოთა დემოკრატია—მშრომელთა ნამდვილი დემოკრატია ნიშნავს ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის გადაჭრით უარყოფას. ხელმძღვანელობს პროლეტარიატი—კლასი, რომელიც ყოველმხრივ დაინტერესებულია ხალხთა შორის ძმობით და არა მათი ერთმანეთზე გადამტერებით. აი ამიტომ საბჭოთა ყრილობა, რომელიც დღეს იხსნება, იქნება არა ურთიერთშორის ბრძოლის და შუღლის ასპარეზი, **არამედ იგი იქნება ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა ძმური თანამშრომლობის ინტერნაციონალურ მუშაობის ნამდვილი ყრილობა.**

მთავრობა წარადგენს მოხსენებას თავის ერთი წლის მუშაობის შესახებ. შედეგები ყველასათვის აშკარაა—უფრო მეტია, ვიდრე დამაკმაყოფილებელი. არავის ჩვენგანს არ შეეძლო ეფიქრა, რომ ჩვენ წინმსვლელობას ექნებოდა ასეთი ჩქარი ტემპი. ჩვენ საკმარისად ვერ ვაფასებდით საკუთარ ძალებს, ძალებს, რომელმაც ბრძოლის და მუშაობის უნარი გაუღვიძა მილიონიან მასებს...

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ გასაკეთებელი უფრო მეტია იმაზე, რასაც ჩვენ მივაღწიეთ ამ დიდი აღმშენებლობის რამდენიმე წლის განმავლობაში. მიუხედავათ ყველა ჩვენ წარმატებათა,—ჩვენი ქვეყანა ხომ ჩამორჩენილია, ღატაკი და გაუნათლებელი. ბურჟუაზიის დამხობა,—როგორც ლენინმა სთქვა ერთ-ერთ თავის უკანასკნელ წერილში,—წარმოადგენდა წინასწარ პირობას იმისათვის, რათა მასებს თავი დაეღწიათ საუკუნო სიბნელისა, გაუნათლებლობისა, ველურობისა, საშინელ სიღატაკისა და განადგურებისაგან.

ყოველმხრივი ზრდის ეს პროცესი მხოლოდ დაიწყო. მთელი ეროვნული შემოსავლის 63 პროცენტს ჩვენი ქვეყანა იღებს მიწათ-მოქმედებიდან და მხოლოდ 20 პროცენტს მრეწველობიდან. სასოფლო მეურნეობაში კი გაბატონებულია ხორბლეულის კულტურა, რომელიც აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებებს. ჩამორჩენილობა ძალიან დიდია...

ჩვენ უნდა გადავაბრუნოთ ბუმბერაზი მთები და მის წიაღიდან ამოვიღოთ ჩვენთვის საჭირო განძეულობა, ჩვენ უნდა დავსეროთ ეს მთები გვირაბებით, გაუშვათ მათში ორთქლმავლები, ელექტრონის მატარებლები და გავანათოთ ხეობები და ველები ელექტრონის სინათლით... ამ ამოცანების შესრულებით ჩვენ ავალთ კულტურის უმაღლეს საფეხურზე,—განვახორციელებთ სოციალიზმს.

მაგრამ დღეს უნდა დავიწყოთ იქიდან, რაც წარმოადგენს მასებისათვის აუცილებელ საჭიროებას, ურომლისოდაც მას არ შეუძლია ცხოვრება. რუსეთის კომპარტიის (ბ) მე-11-ე ყრილობაზე ლენინი ასწავლიდა კომუნისტებს ყოველთვის მხედველობაში ჰქონოდათ ის, რაც ყველაზე უფრო ახლოა, გასაგები და აუცილებელია გლეხის, მუშის და ყველა მშრომელთათვის. ბოლშევიკი **ხომ ის არის, რომელსაც ყველაფერში შეუძლია დღევანდელი დღის მოთხოვნილებანი შეუფარდოს დიდ ისტორიულ ამოცანებს.** ეხლა, ჩვენს პირობებში ბოლშევიკი არის ის, ვინც აშენებს სოფლის კოოპერატივს და სდებს გროშებს მაზრის ელექტრო-სადგურის აგებისათვის.

ჩვენ კავკასია აუცილებლად უნდა ვაქციოთ საბჭოთა ინდუსტრიის ძლიერ ცენტრად. მაგრამ ისტორიული დღევანდელი დღისათვის ეს ნიშნავს—**უმთავრესი ზრუნვა სასოფლო მეურნეობაზე,** რომელიც გახდება ბაზათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, უმთავრესი ზრუნვა კოოპერატივზე, ყოველმხრივი მუშათა ხელმძღვანელობა, ყოველმხრივი ნივთიერი, კულტურულ-განმანათლებელი დახმარება სოფლის მშრომელებს. არც ერთი წუთით არ შეიძლება დავივიწყოთ: იქ, სადაც პროლეტარიატი არ უწევს ხელმძღვანელობას გლეხობას, აუცილებლად ამა თუ იმ ფორმით მას ხელმძღვანელობს ბურჟუაზია. **არ შეიძლება ზრუნვა მრეწველობაზე, თუ არ ვიზრუნეთ სასოფლო მეურნეობაზე.**

მაგრამ ჩვენი მეურნეობის გაძლიერებისა და გაფართოვების საქმეზე მუშაობის დროს, ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებული ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის უშიშროებაში. აქედან გამომდინარეობს საკითხი წითელი ჯარის შესახებ. ევროპა ამჟამად სდგას რეაქციონური კურსის მორიგი გაძლიერების ნიშნის ქვეშ. ეს ნიშნავს ჩვენზე აუცილებელ დაწოლას გარედან. და რამდენიც არ უნდა იფიცოს ჩემბერლენმა, რომ იგი არ ჰქმნის ანტი-ბოლშევიკურ ფრონტს, როგორი უარყოფაც არ უნდა სწერონ რიგაში შეკრებილმა პოლონეთის, ლატვიის და ესტონეთის შტაბის გენერლებმა,—ჩვენ ვიცით ერთი რამ: ბურჟუაზია არ შეიძლება დამშვიდებული იყოს მანამდე სანამ ჩვენ ვცოცხლობთ და ის ჩვენ თავს არ დაგვანებებს მანამ, სანამ მას კუბოში არ ჩასდებს პროლეტარიატი.

აი რატომ არის, რომ ზრუნვა მეურნეობაზე განუყოფელია წითელ ჯარზე ზრუნვისაგან.

დიდია სიძნელენი, რომელიც ისტორიულ გზაზე გვილოდება ჩვენ. მაგრამ ჩვენ ახალგაზრდები, ძლიერები და ახალი ქვეყნის მშენებლები ვართ. ჩვენ თუ არა, მაშ ვინ გადასწყვეტს მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებს?

მაშ ვიმუშავოთ, ვიმუშავოთ. ავამოძრაოთ ახალი და ახალი ფენები, ჩავაბათ აღმშენებლობაში ახალი მილიონები. სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ სკეპტიციზმს, დაღლილობის, მოწყენისა და დაცემის ყოველგვარ ნიშნებს. მთელი ძალები შეუდრეკლათ მივმართოთ იმ პოზიციების გამაგრებისა და შეუჩერებელი გაფართოებისაკენ, რომლებზეც დაგვიტოვა ლენინმა ჩვენი დიდი კავშირი.

ილ. ვარდინ-მგელაძე.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები

დაიხურა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი.

მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა, რომ კომინტერნის კონგრესი უნდა იკრიბებოდეს არა ყოველწლიურად, როგორც ეს წინად იყო, არამედ ორ წელიწადში ერთხელ,—განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მოწვევას: პლენუმი რამოდენიმედ კონგრესის მაგიერობას ასრულებს.

კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ გავიდა რვა თვე. მაგრამ დღეს მდგომარეობა არსებითად ისეთივეა, როგორც ეს დასახა ამ კონგრესმა. პლენუმს ახალი ფაქტების და გამოცდილების მიხედვით მოუხდა, მეხუთე კონგრესის დადგენილებათა საფუძველზე, უფრო დაწვრილებით და კონკრეტიულად გამომუშავება რევოლიუციონური მოქმედების ხაზისა როგორც საერთოდ, ისე ცალკე ქვეყნებში.

მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობა მიიმართება არა პირდაპირი ხაზით, არამედ მიხვეულ-მოხვეული გზით. საერთაშორისო რევოლიუციის განვითარება არ წარმოებს ისეთი სისწრაფით, როგორც ეს ჩვენთვის სასურველია. არც მისი „გეოგრაფია“ გამორკვეული, ე. ი. შეუძლებელია გადაჭრით იმის წინასწარმეტყველება, თუ პირველ რიგში სად დაინთება რევოლიუციის ცეცხლი, გერმანიაში და საერთოდ ევროპაში, თუ აღმოსავლეთში.

დღეს უდავო ფაქტია კაპიტალიზმის შედარებითი განმტკიცება, სტაბილიზაცია. საერთაშორისო ომმა და საბჭოთა რევოლიუციამ მსოფლიო ბურჟუაზიულ წყობილებას თავი გაუჩეჩქა, მაგრამ საბოლოოდ არ გაუნადგურებია იგი.

უშუალო რევოლიუციონურ ძალთა განწყობილება არ არის დღეს ევროპაში. გაბატონებულია რეაქცია. მთელ რიგ ქვეყნებში მრეწველობამ თითქო სული მოითქვა, მრავალ სახელმწიფოში ფულის კურსი განმტკიცდა. სამეურნეო ცხოვრების რამდენიმედ გაუმჯობესების ნიადაგზე სოციალ-დემოკრატიაც იჩენს ერთგვარ ცხოველმყოფელობას.

მაგრამ არსებითად საერთაშორისო მდგომარეობა ისევ რევოლიუციონური რჩება. ინტერესთა წინააღმდეგობა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის ღრმავდება. ამერიკა-ინგლის შორის ბლოკის შექმნა ფაქტია, მაგრამ ამავე დროს ცხადია, რომ ეს ბლოკი არ არის ხანგრძლივი; ამერიკა ავრცელებს თავის გავლენას ინგლისის სამფლობელოებზე (მაგ. კანადაზე); ეს და მთელი რიგი სხვა გარემოებანი ამ სახელმწიფოთა კავშირის სიმტკიცეს შეუძლებლად ხდის.

საფრანგეთში იწყება სამრეწველო კრიზისი, რადგან ეს ქვეყანა ვერ უძლებს გერმანიის და ინგლისის მრეწველობის კონკურენციას.

მასიური უმუშევრობა ფაქტია როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში.

მსოფლიო რევოლიუციისათვის ხელსაყრელი პირობების გასათვალისწინებლად ცალკე უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის განმტკიცება, აგრეთვე, რაც ხაზგასასმელია, საბჭოთა რესპუბლიკის დაახლოვება აღმოსავლეთის ხალხებთან, პირველყოვლისა უზარმაზარ ჩინეთთან.

საერთოდ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში იზრდება განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

მიუხედავად ყველა ამისა, კაპიტალისტური წყობილების ერთგვარი სტაბილიზაცია მაინც უდავო ფაქტია. ბურჟუაზიისათვის დადგა „შესვენების“ პერიოდი. მისი ეკონომიური მდგომარეობა ნაწილობრივ გამოკეთდა. თავისთავად ცხადია, რომ ეს მოხდა მუშათა და გლეხების ხარჯზე. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მისი ბატონობა გახანგრძლივდა.

და აი, აქ კომინტერნის წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა, ან უკეთ, გაძლიერდა ძველი ამოცანების უფრო დაჟინებით განხორციელების აუცილებლობა.

კომინტერნმა უნდა შეუგუოს თავისი ტაქტიკა რევოლიუციის ნელი ნაბიჯით განვითარების პირობებს.

რაკი რევოლიუციის ტალღა შენელდა, კომინტერნის ზოგიერთ სექციებში წარმოიშვა საფრთხე კომინტერნის სამოქმედო გზის გაბრუნდების. ზოგიერთი პირები უიმედობას მიეცნენ და გადავიდნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ამასთან ფეხი მოიკიდა ერთგვარმა მენშევიკურმა ტენდენციებმა კომინტერნის ზოგიერთ სექციებში. ტროცკიზმი არ არის მარტო რუსული მოვლენა, იგი საერთაშორისო მოვლენაა, რასაკვირველია, სხვადასხვა ელფერით, ამა თუ იმ ქვეყნის თავისებური პირობების მიხედვით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კომინტერნში ჯერ კიდევ სავსებით არ გამქრალა „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი“.

ჩვენ ვხედავთ, რომ კომინტერნს მთლიანად ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირია სრული ბოლშევიზაციის მისაღწევად. სწორედ ეს შეადგენდა კომინტერნის აღმასკომის ეხლა დახურულ პლენუმის ძირითად საკითხს.

რა არის ბოლშევიზაცია? ბევრმა ეს ლოზუნგი გაიგო, როგორც პარტიების მოწყობა მხოლოდ საქარხნო-საფაბრიკო უჯრედების საფუძველზე. ეს ფრიად საჭიროა, მაგრამ ბოლშევიზაცია მარტო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით არ ამოიწურება. საჭიროა პოლიტიკური ბოლშევიზაცია, ლენინიზმის მოძღვრების, მისი სტრატეგიის და ტაქტიკის სრული შეთვისება.

ამ სფეროში ჩვენს მოძმე პარტიებს ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ. საჭიროა ბრძოლის საბოლოო პერსპექტივების ყოველთვის გათვალისწინება, ამავე დროს ანგარიშის გაწევა კონკრეტიულ პირობებთან.

პლენუმმა მიიღო ამხ. ზინოვიევის მიერ წარმოდგენილი თეზისები კომინტერნის პარტიების ბოლშევიზაციის შესახებ, ამასთან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მემარჯვენე გადახრას, გადაჭრით გაკიცხა ტროცკიზმი, ბრანდლერიზმი და სხ., აგრეთვე მოჩვენებითი მემარცხენე გადახრანი.

კომინტერნის ბოლშევიზაცია შეიცავს, როგორც მთავარ მომენტებს, ბრძოლას მუშათა მასების დასაპყრობათ, მშრომელი გლეხობის მისამხრობად, კოლონიალურ ხალხების ასამოძრავებლათ.

მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის იდეა ისევ დგას კომინტერნის დღის წესრიგში. მხოლოდ საჭიროა ეს არ გადამახინჯდეს და კომუნისტები არ გაითქვიფონ რეფორმისტ-ოპორტიუნისტებში, პირიქით, ჩვენმა ამხანაგებმა უნდა აწარმოონ ენერგიული ბრძოლა მათი მოღალატეობის გამოსააშკარავებლად მშრომელთა წინაშე.

ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას პროფმოძრაობის მთლიანობისათვის. ეს ლოზუნგი თანდათან ჰპოულობს ფართე პოპულიარობას მსოფლიოს მშრომელ მასებში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გლეხობის საკითხი. დღეს გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს გლეხობის დასაპყრობად. ვის მხარეზე აღმოჩნდება გლეხობა, ბურჟუაზიის და მისი დამქაშის სოციალ-დემოკრატიის, თუ კომუნისტების მხარეზე, ამაზეა დამოკიდებული რევოლიუციის ბედი. კომუნისტური პარტიები უნდა შეეცადონ გლეხობასთან დაკავშირებას და მის მოქცევას თავის გავლენის ქვეშ.

აგრეთვე უაღრესი ყურადღების ღირსია კომინტერნისათვის კოლონიალური და ნაციონალური საკითხები.

ყველა ამაში კომინტერნს აქვს თვალსაჩინო მიღწევები. საჭიროა მუშაობის შემდეგი გაძლიერება და გაფართოება.

მაგრამ კომუნისტურ პარტიების ნაყოფიერი მუშაობისათვის აუცილებელია თვით მათი შინაგანი დაწმენდა და სიმტკიცე, მათ მიერ ლენინიზმის სულით გამსჭვალვა.

პლენუმზე ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი კომინტერნის მთლიანობას და მის ურყევ გადაწყვეტილებას—იაროს ლენინიზმის გზით.

ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მსოფლიო რევოლიუციის მომზადება წარმატებით იწარმოებს.

X

კერძო კაპიტალის როლი ჩვენს შინა ვაჭრობაში

მაშინ, როდესაც სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო კაპიტალი ორ მილიარდ მანეთს აღემატება, კერძო სავაჭრო კაპიტალის რაოდენობა მთელ საბჭოთა კავშირში ორას მილიონ მანეთამდე ძლივს აღწევს. ცხადია აქედან, რომ შინა ბაზარზე ჩვენს აღებ-მიცემობის ოპერაციებში კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ეს ხშირათ წარმოუდგენიათ.

ამიტომ ძალაუნებურათ ისმება კითხვა, რამ გამოიწვია, რომ კერძო კაპიტალი ამ ბოლო ხანს განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი გახდა და მის ხსენებას მოუხშირეს პრესაში და ტრიბუნიდან.

პირველ ყოვლისა, როცა ლაპარაკობენ კერძო კაპიტალის შინა-ვაჭრობაში ჩაბმის შესახებ, ანგარიშში მისაღებია შემდეგი გარემოება: რამდენად სწვდება სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო კაპიტალი იმ ამოცანას, რომელსაც უყენებს მას ქვეყნის მეურნეობის განვითარება.

ცხადია, რომ უკანასკნელ ხანებში მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში დიდი მიღწევების წინაშე ვდგევართ. ერთ და მეორე დარგში პროდუქციის შეუჩერებელი ზრდა მთელი სიმწვავით სვამს კითხვას ქალაქის და სოფლის ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების შესახებ.

სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო კაპიტალი, ვერც თავისი მატერიალური შესაძლებლობით, ვერც მით უმეტეს მისი შედარებით ახალ და სუსტი აპარატით, ვერ გაჰყვება ფეხდაფეხ ჩვენი მეურნეობის ნორმალურ განვითარებას. უკვე გამორკვეულია, რომ საქონლის დღევანდელი ტრიალი არ ეხამება ქვეყნის მეურნეობის მაჯისცემას.

აქედან ბუნებრივად იბადება აღებ-მიცემობის დარგში დამხმარე ძალის საჭიროება. ჩვენ ვიცით, რომ რამდენათაც ღარიბია ეკონომიურათ კერძო კაპიტალი, იმდენათ მდიდარია ის პრაქტიკით და გამოცდილებით ვაჭრობის, საქონლის ამოძრავების საქმეში.

ამიტომ კერძო კაპიტალს, როგორც დამხმარე ძალას, კიდევ დიდხანს შეუძლია ითამაშოს საზოგადოებრივად სასარგებლო როლი. ამ კაპიტალის გარკვეულ გზაზე დაყენება, საერთო სახელმწიფოებრივ მიზნებისადმი დაქვემდებარება და მიზანშეწონილი თანამშრომლობა საჭირო და სასარგებლოც არის.

ასე და მხოლოდ ასე იდგა კითხვა ამ დღეებში მოსკოვის კავშირთა სახლში შემდგარ კერძო კაპიტალის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვან კრებაზე, რომელსაც დაესწრო საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეკონომიურ ორგანოების ხელმძღვანელი ამხანაგები: სმილგა, შეინმანი, სირომოლოტოვი და სხვები.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქვეყანა დაღუპვის პირასაა, და საბჭოთა ხელისუფლება ელის ხსნას ვინმეს ხელიდან, როგორც ამას ხსნის ზოგიერთი კარის უკან მოჩურჩულე ობივატელი, რა თქმა უნდა სასაცილოდაც არავის ეყოფა.

პირიქით, როგორც კრებაზე განაცხადა ამხ. სირომოლოტოვმა, არასოდეს ისე მაგრათ არ გრძნობდა თავს საბჭოთა კავშირი შიგნით და გარეთ, როგორც ეხლა.

საკითხი ეხება კერძო კაპიტალის იმ ბნელ კუნჭულებიდან გამოდენას, სადაც მან დაიბუდა ამ უკანასკნელ ხანებში. შემჩნეულია, რომ კერძო კაპიტალი ბოლო დროს გარბის წარმოებიდან და იბანდება ერთი მხრივ სოფლად, პურის დამზადების საქმეში და მეორე მხრივ ქალაქად, ვალიუტის ოპერაციებში.

ამრიგად, ის დღითი-დღე ჰკარგავს იმ საზოგადოებრივ სასარგებლო ფუნქციას, რომელსაც ავად თუ კარგათ ეწეოდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირველ წლებიდან და სპეკულიატურ კაპიტალის სახეს ღებულობს.

შერეულ ტიპის აქციონურ და სავაჭრო ამხანაგობების, ან საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების საფარქვეშ კერძო კაპიტალი მეტოქეობას უწევს სახელმწიფოს პურის ბაზარზე და ვალიუტის სპეკულიატიური ოპერაციებით ემუქრება საბჭოთა კავშირის ფინანსიურ პოლიტიკას. ამნაირათ, რაც დღე გადის, მით უფრო შორდება კერძო სავაჭრო კაპიტალი იმ მდგომარეობას, რომელსაც ეკონომიურ ურთიერთობაში კომერციული ლოიალობა ეწოდება.

კერძო კაპიტალის ამ მავნე პოზიციებიდან გამოსაზირებლად პირველ ყოვლისა საჭიროა ეკონომიური ხასიათის ღონისძიებები.

მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებები აღნიშნულ კრებაზე იმ დასკვნამდი მიდიოდა, რომ უნდა შემსუბუქებულ იქნას ფისკალური რეჟიმი, მიეცეს კერძო მწარმოებელს ან კომერსანტს კრედიტი, გადაისინჯოს იძულებითი ასორტიმენტის კითხვა, გათანასწორდეს კერძო პირთა ფასიანი ქაღალდები სახელმწიფოს თამასუქებთან და სხვა.

აქედან სრულიადაც არ შეიძლება გამოტანილი იქნას ისეთი დასკვნა, რომ მთავრობა ოდნავ მაინც შეასუსტებს თავის ყურადღებას სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო კაპიტალისადმი. ასუსტებს რა სახელმწიფო ადმინისტრატიულ ზეგავლენას კერძო კაპიტალზე, ამავე დროს გადადის მასთან ეკონომიურ კონკურენციის გზაზე. ამ შემთხვევაში კი სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა უფრო მეტ დახმარებას და ხელის მომართვას იხოვს მთავრობისაგან, ვიდრე ეს დღემდი იყო.

ამრიგად, კერძო კაპიტალთან დამოკიდებულების კითხვა მორიგ ამოცანათ დგას დღეს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ფრონტზე და განსაკუთრებით მის შინავაჭრობის დარგში. ახლო მომავალი დაგვანახვებს შესძლებს თუ არა კერძო კაპიტალი იმ პირობების გამოყენებას, რომელსაც მას უყენებს სახელმწიფო, თუ ის განაგრძობს დღევანდელი გზით სვლას.

აკ. მყონია.

მოსკოვი, 2 აპრილი.

იერიშები ერრიოს წინააღმდეგ
ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების წარმომად. თათბირზე მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული
ორლეანის სასამართლომ გაამართლა ჟაკ სადული

ერრიომ სენატში მთავრობისადმი ნდობის საკითხში მიიღო უმრავლესობა ორი ხმით.—საფრანგეთის მთავრობის საჩქარო სხდომა.—გაუგებრობაზე აშენებულ უარყოფითი დამოკიდებულება იაპონია-საბჭოთა შეთანხმებისადმი ამერიკაში.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

ერრიო ორმა ხმამ იხსნა

პარიზი. 6 აპრილი. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, სენატში სახალხო განათლების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, ერრიომ დააყენა საკითხი ნდობის შესახებ; ერრიო მოითხოვდა ზოგიერთ კრედიტების აღდგენას, რომელიც სენატის საფინანსო კომისიამ შეამცირა. **სენატმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას 142 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 140-ისა.**

მთავრობის სხდომა

პარიზი. 8 აპრილი. ერრიომ მოიწვია მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა, როგორც კი გაიგო, რომ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება მიღებული იყო მხოლოდი 2 ხმის უმრავლესობით.

სოციალისტური პარტიის ლიდერები, რენოდელ, პოლ ბონკური, ბლიუმი და ორიოლი ეთათბირენ ერრიოს კაბინეტის სასწრაფო სხდომის დაწყების წინ.

ვიოლეტტის წინადადება

პარიზი. 8 აპრილი. პალატის საფინანსო კომისიაში კომისიის მომხსენებელმა ვიოლეტტმა შეიტანა წინადადება განხილული იქნას საფინანსო კანონის ახალი ტექსტი დე-მონზის პროექტის მიხედვით, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა კრიტიკული შენიშვნები, ვიოლეტტმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს შეათანხმოს კომისიის სხვადასხვა თვალსაზრისი და შეადგინოს ახალი ტექსტი, რომელიც წარედგინება საფინანსო კომისიას განსახილველათ 9 აპრილს. კომისიამ მიიღო ვიოლეტტის წინადადება.

საფინანსო კომისიის სხდომის შემდეგ ვიოლეტტი ესაუბრა დე-მონზის და ბლიუმს დე-მონზის კანონპროექტის ახალი რედაქციის შემუშავების შესახებ. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება, რომ ვიოლეტტის წინადადება გულისხმობს კაპიტალის დაბეგვრის იძულებით ხასიათს.

ამხ. კოპპი გაემგზავრა ტოკიოში

მოსკოვი. 9 აპრილი. ტოკიოში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში კოპპი.

ამერიკა და იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

გაუგებრობაზე აშენებული დასკვნები

ნიუ-იორკი. 8 აპრილი. „ვაშინგტონ პოსტი“ და ნიუ-იორკის გაზეთი „სანი“ აქვეყნებენ წერილებს, რომელიც ამტკიცებს, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არღვევს იაპონიის დაპირებას ვაშინგტონის კონფერენციაზე, არ გამოეყენებია სახალინის ოკუპაცია სავაჭრო მონოპოლიების მიღების მიზნით.

გაზეთები ამახინჯებენ ხელშეკრულების მუხლებს და სცდილობენ დაამტკიცონ, რომ იაპონია ხელშეკრულების ძალით იღებს მთელი ჩრდილოეთ-სახალინის ნავთის 50 პროც.-ს მაშინ, როდესაც ნამდვილად ხელშეკრულება ანიჭებს იაპონიას ნავთის ნახევარს **სახალინის განსაზღვრულ ოლქებში.**

ამ დამახინჯების წყალობით, გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ მიიღო სენატორ ბორასაგან განცხადება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება მართლაც არღვევს იაპონიის დაპირებას დაეცვა „ღია კარების“ პოლიტიკა. ასეთივე განცხადებით გამოვიდა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ლანსინგი.

ჟურნალისტები შეეკითხენ კულიჯს გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე მაგრამ **კულიჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კულიჯი არ ეთანხმება გაზეთების აზრს იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ.**

სახელმწიფო დეპარტამენტმა აგრეთვე განაცხადა რომ ის არ უცქერის იაპონიის მიერ სახალინზე აღებულ ნავთის კონცესიას, როგორც „ღია კარების პოლიტიკის“ დარღვევას. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, იაპონიის კონცესია ჰგავს სინკლერის კონცესიას სახალინზე.

გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესი

დამცველ ვოლფის სიტყვა.

ლეიპციგი, 8 აპრილი. 8 აპრილის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა დამცველმა ვოლფმა (კომუნისტია). ვოლფმა აღნიშნა, რომ პროცესი დაკავშირებულია გერმანიის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან და მოიგონა კამპანია, რომელსაც აწარმოებდა რკინის გზის არჩევნების წინ პრესის ერთი ნაწილი მთავრობის წრეების ზეგავლენით. ამ კამპანიის მიზანი იყო წარმოედგინათ კომპარტია, როგორც მკვლელებია ბანდა, რომლის პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებია: მკვლელობა, შხამი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

ვოლფმა განაცხადა, რომ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ე. წ. „საგანგებო კომისიას“ ზურგს უმაგრებდა კომპარტია. პროცესი ამტკიცებს, რომ გერმანია ეწევა აგიტაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამით სამსახურს უწევს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ვინაიდან სურს შევიდეს ერთა ლიგის შემადგენლობაში.

არჩევნები ბელგიაში

პარიზი. 8 აპრილი. ბელგიის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები ასეთია: ორი კომუნისტი, 79 სოციალისტი, 78 კათოლიკე, 22 ლიბერალი, 6 ფლამანდიელი ნაციონალისტი, კომუნისტი დეპუტატები არიან: ვანოვერი—ლიეჟიდან და ჟაკმოტი—ბრიუსელიდან. მათ მიიღეს 34,147 ხმა. სოციალისტებმა მოიმატეს 10 ადგილი, ლიბერალებმა დაკარგეს 12.

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების წარმომად. თათბირის შედეგები

მიღწეულია მნიშვნელოვანი შეთანხმება

ლონდონი. 8 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ინგლისის პროფკავშირების კონგრესის გენერალურ საბჭოს წარმომადგენელთა კონფერენცია **დამთავრდა მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევით.** გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„კონფერენციამ მიაღწია მნიშვნელოვან შეთანხმებას ყველა მუხლებსა და საკითხებში. საერთო წინადადებანი, რომელიც გადაეცემა რუსეთის და ინგლისის პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანიზაციებს, ხელს შეუწყობენ მთლიანობის დამყარებას სხვადასხვა ქვეყნების პროფესიონალურ მოძრაობის მიმდინარეობათა შორის და პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობას აიყვანენ არაჩვეულებრივ დონემდე.

საერთო შეთანხმება იმ დაბრკოლებათა გამო, რომლებიც დღემდის ხელს უშლიდენ ეროვნულ კავშირთა საერთაშორისო ფედერაციაში (ამსტერდამის ინტერნაციონალში) რუსეთის პროფკავშირების შესვლას, უეჭველია, ხელს შეუწყობს ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვას და შესაძლებლათ გახდის საერთაშორისო მოძრაობის გაერთიანების განხორციელებას“.

კონფერენციის მიერ შემუშავებული წინადადებანი გამოქვეყნებული იქნება სრულათ მას შემდეგ, როდესაც ეს წინადადებები გადაეცემა რუსეთის და ინგლისის პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანოებს.

საბჭოთა დელეგაცია მიემგზავრება მოსკოვში პარასკევს, 10 აპრილს. 8 აპრილს დელეგაცია მიპატიჟებული იყო ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს მიერ გამართულ სადილზე.

ჟ. სადული გაამართლეს

ორლეანი. 8 აპრილი. სამხედრო სასამართლომ გაამართლა სადული.

ორლეანი, 8 აპრილი. სასამართლოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც დამთავრდა სადულის გამართლებით, ვექილი ფლაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **თვით კონტრ-რევოლიუციონერებმაც, როგორიც არის კერენსკი,** დაამოწმეს, რომ სადულს გულწრფელად სურდა კავშირის აღდგენა საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ფლაშმა მიმართა მოსამართლეებს თხოვნით, მიუხედავად მათი მტრული განწყობილებისა კომუნიზმისადმი, გაითვალისწინოთ ის ღრმა ცვლილება, რომელიც მოხდა რუსეთის გრანდიოზული რევოლიუციის გავლენით ისეთი ადამიანების აზროვნებაში, როგორიც არის სადული ან პასკალი.

ფლაშის სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

მოსამართლეებს უსვამენ ორ კითხვას: ძირითადი კითხვა—არის თუ არა სადული დამნაშავე დეზერტირობაში, და მეორე კითხვა—დანაშაულია თუ არა ის იმაში, რომ მიუხედავათ ბრძანების მიღებისა ის არ წამოვიდა რუსეთიდან საფრანგეთის მისიასთან ერთად.

ერთი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ ერთხმად უარყოფითი პასუხი გასცა მთავარ კითხვას. მეორე კითხვასაც სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა 4 ხმით 3-ს წინააღმდეგ.

სადულის გამართლებას შეხვდნენ ტაშისცემით და „ვაშა“-ს ძახილით. **როცა სადული გამოვიდა სასამართლოს შენობიდან, ხალხმა თანაგრძნობის ნიშნად მანიფესტაცია გაუმართა მას.**

ჟანდარმების სამეფოში

პანების მხეცობა გრძელდება

ვარშავა. 8 აპრილი. სეიმის კომფრაქციამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ვოლინის ოლქში დაპატიმრებულია **ათას კაცზე მეტი. ციხეები გაივსო.** ვლადიმირ-ვოლინსკში დაპატიმრებულნი ყრიან მოედანზე ციხის მახლობლად; ისინი გარშემორტყმული არიან ჯარებით და მათთან არავის უშვებენ. **საჭმელის გადაცემა აკრძალულია.**

კოვლეში დაპატიმრებულები მოთავსებული არიან კინო-თეატრისა და სკოლის შენობაში, რადგან ციხეებში ადგილი აღარ არის.

დაკითხვის დროს დაპატიმრებულებს სცემენ. განსაკუთრებით ბევრი სცემეს ნიკოლა პანასევიჩს, რომელიც მთლად გალურჯდა ცემისაგან. ლუცკში სცემეს გლეხს ბარანს, რომლისაგანაც მოითხოვდენ ეთქვა, თუ სად იყო შენახული ტყვიისმფრქვეველი. **ბარანს რამდენჯერმე სცემეს ცნობიერების დაკარგვამდე, მოიყვანდენ თუ არა გრძნობაში, ისევ იწყებდენ ცემას.**

ვლადიმირის მაზრაში დაპატიმრებულია რამოდენიმე უკრაინელი მღვდელი. **მთელ ვოლინში გრძელდება ჩხრეკა და დაპატიმრება. პოლესკში დაპატიმრებულია 2.000 კაცზე მეტი.**

რაჭაისკი უარყოფს.

ვარშავა. 8 აპრილი. გაზეთი „კურიერ პორანიი“ აქვეყნებს შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობას იმის შესახებ, რომ ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მკვლელი არ არის ლეიტენანტი მურაშკო, რომელიც გაიქცა 1923 წელს მოკლულთა პროცესის დროს.

უმუშევართა პროცესი

ვარშავა, 8 აპრილი. კატოვიცში დასრულდა ზემო სილეზიის უმუშევართა მოქმედების კომიტეტის პროცესი. შვიდ ბრალდებულიდან ერთს მიესაჯა ნახევარი წლის ციხე, ხოლო ერთს ერთი წლით წინასწარ დაპატიმრების ჩათვლით. ერთი ბრალდებულის საქმე გამოყოფილია მისი ავადმყოფობის გამო. დანარჩენები გამართლებული არიან.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

უკანასკნელი სხდომა

ამხ. მანუილსკის მოხსენება.

მოსკოვი. 8 აპრილი. 6 აპრილს ჩეხო-სლოვაკიის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მანუილსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მდგომარეობას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მემარჯვენე ფრთა შესდგება იმ ელემენტებისაგან, რომლებმაც ჯერ კიდევ თავი ვერ დააღწიეს სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, და იმ ამხანაგებისაგან, რომლებიც რამოდენიმე ხნის წინათ მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდენ. ეს უკანასკნელი გარემოება ართულებს მდგომარეობას. ეს მემარჯვენე საშიშროება არის კრიზისის ერთ-ერთი წყარო.

კრიზისის მეორე წყაროა საკითხი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ უნდა შეითვისოს ბოლშევიზაციის აზრი და პარტიის ხელმძღვანელობა უნდა ჩაიბაროს ახალგაზრდა პარტიულ კადრებს, რომლებიც თანდათან იზრდებიან.

მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შუა დაარსდა მერყევი ცენტრი.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია კომინტერნის ერთ-ერთი საუკეთესო სექციაა; პარტიის წევრების 98 პროც. მუშები შეადგენენ. ჩვენ ვსცდილობთ არა მარტო შევინარჩუნოთ პარტიის მასიური ხასიათი, არამედ მუშების კიდევ უფრო მეტი რაოდენობა დავიპყროთ. საფრანგეთის მაგალითზე ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ცენტრის და მემარცხენე ფრთის გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება პარტიის ჯანსაღი განვითარება.

ჩეხო-სლოვაკიის მუშები—განაგრძობს მანუილსკი — ისარგებლებენ თქვენი რჩევით. მათ ესმით, რომ ჩვენ ვეყრდნობით რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებას და კომინტერნის ავტორიტეტს. ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ეხლანდელი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს.

ჩეხო-სლოვაკიის ცეკას უმცირესობის და კრესლიხის სახელით მაუნა აცხადებს, რომ ის უერთდება ჩეხო-სლოვაკიის კომისიის რეზოლიუციას და ნდობას უცხადებს კომინტერნს. „უმცირესობა არა მარტო ხმას აძლევს რეზოლიუციას, არამედ გაატარებს კიდეც მას ცხოვრებაში, რომ ამით თავიდან აიშოროს საშიშროება მარჯვნიდან, რომლის სერიოზულობას უმცირესობა სავსებით აღიარებს“.

რეზოლიუცია ჩეხო-სლოვაკიის საკითხის შესახებ პლენუმის მიერ მიღებული იქნა ერთხმად.

შემდეგ აღმასკომის გაფართოვებულმა პლენუმმა განიხილა ბრნის პლატფორმა, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს ბრნის საოლქო კომიტეტის მუშაობაში და წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ უახლოეს სამ-ოთხი თვის განმავლობაში ბრნეში მოწვეული იქნეს საოლქო კონფერენცია, რომელმაც პარტიულ ხელმძღვანელობას უნდა ჩამოაშოროს ის პირები, რომლებიც ბრნის პროგრამის ნიადაგზე სდგანან. ამასთანავე პლენუმი მოწოდებით მიმართავს პარტიის ყველა წევრებს დაიცვან პარტიის მთლიანობა და აბრძოლონ იმ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია მთლიანობის ჩაშლა.

ამერიკული კომისიის რეზოლიუცია.

კლუსინენმა წარმოადგინა რეზოლიუცია ამერიკული კომისიის მოხსენების შესახებ; რეზოლიუცია მიღებული იქნა ერთხმად.

კოლონიალური კომისიის რეზოლიუცია.

დორსამ (ამერიკა) წაიკითხა კოლონიალური კომისიის რეზოლიუცია, რომელიც მიღებული იქნა ერთხმად.

სამხრეთ-სლავიის კომპარტიის მდგომარეობა.

კოლაროვმა წაიკითხა სამხრეთ-სლავიის კომპარტიის საკითხების გამოსარკვევათ არჩეულ კომისიის რეზოლიუცია, რომელიც საბოლოო რედაქციის შედგენის უფლებას ანიჭებს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმს.

კოლაროვი დაწვრილებით ახასიათებს სამხრეთ-სლავიის კომპარტიის შინა-პარტიულ მდგომარეობას, რის შემდეგაც ყველა ფრაქციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი პრინციპიალურათ ეთანხმებიან რეზოლიუციას და თანახმა არიან, რომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტოს დეტალური საკითხები.

იტალიის კომპარტიაში

ემბერი (დრო) მოხსენებას აკეთებს იტალიის კომისიის მუშაობის შესახებ და აღნიშნავს პარტიის შინაგან განმტკიცებას კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ. საჭიროა იდეოლოგიის ნათლათ ჩამოყალიბება პარტიაში. ამიტომ რეზოლიუცია წინადადებას იძლევა გამორკვეული იქნეს საკითხები ანტი-პარლამენტარული ტენდენციების შესახებ, და აგრეთვე პარტიის როლისა და ტაქტიკის შესახებ ფართო დისკუსიის საშუალებით, რომელიც წინ უნდა უძღოდეს პარტიულ ყრილობას.

რეზოლიუცია იტალიის საკითხის შესახებ მიღებული იქნა ერთხმად.

პროფმოძრაობისა და სააგ.-საპრ. მუშაობის შესახებ

შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია პროფესიონალური მოძრაობის და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხების შესახებ.

ბულგარეთის მთავრობის ჭორების შესახებ

კოლაროვის წინადადებით, პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია ბულგარეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ კომინტერნის 3 მარტის დადგენილების შესახებ, რომელშიაც კომინტერნი, ვითომ, უბრძანებს ბულგარეთის კომპარტიას შეიარაღებული აჯანყება მოაწყოს 15 აპრილს აღმასკომის მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

რეზოლიუციაში ნათქვამია: „რასაკვირველია, ეს მორიგი ჭორია. ამ ყალბი დოკუმენტით ბულგარეთის მთავრობა სცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო და თავი გაიმართლოს იმ მომენტში, როდესაც ყველა ქვეყნების მუშათა მასები კიცხავენ მის სისხლიან საქმეს. მაგრამ ეს ცდა სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. კომინტერნის აღმასკომი ერთხელ კიდევ კიცხავს ბულგარეთის მკვლელების და ფალსიფიკატორების მთავრობას. ის მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროლეტარიატს სამარცხვინო ბოძზე გააკრას სოფიის ჯალათები და მხარი დაუჭიროს ბულგარეთის მუშების და გლეხების ბრძოლას, რომლის მიზანია მათი დამხობა“.

შეკითხვა ტროცკის

საფრანგეთის დელეგაციის სახელით სემარი აცხადებს: „საფრანგეთის დელეგაცია კომინტერნის აღმასკომის საშუალებით ეკითხება ტროცკის, ეთანხმება თუ არა ის როსმერის და მონატის ჯგუფს და აქვს თუ არა ამ ჯგუფს უფლება ამოეფაროს მის სახელს“?

პლენუმმა დაადგინა შეუერთდეს ამ შეკითხვას.

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. ზინოვიევმა სთქვა:

„პლენუმზე ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უთანხმოებას, მაგრამ შეგნება იმისა, რომ ჩვენ ყველანი ვეკუთვნით ერთ მთლიან კომუნისტურ ოჯახს, გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ყველა უთანხმოებანი. მნიშვნელოვანი საკითხი ჩეხო-სლოვაკიის მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილი იქნა უდიდესი ერთსულოვნებით.

პლენუმის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მან თავი დააღწია უკიდურეს მემარცხენე ილიუზიებს და რეალისტურათ შეაფასა მდგომარეობა. ამას გარდა პლენუმმა გადაჭრით უარყო ყოველგვარი დათმობა მემარჯვენე ელემენტების სასარგებლოთ; ამასთანავე პლენუმმა დაადასტურა ინტერნაციონალის ბოლშევიზაციის აუცილებლობა და ახალი სიძლიერით წამოაყენა მასებთან დაახლოვების ლოზუნგი.

კომინტერნი არის რევოლიუციონური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც გაიმარჯვებს, მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებებისა“.

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ვარშავა, 8 აპრილი. გაზეთი „ეხო ვარშავსკე“ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისადმი მიძღვნილ წერილში, სწერს: „ჩვენი ურთიერთობა მოსკოვის მთავრობასთან ვერ შეიძლება განხილულ იქნეს კომუნიზმისადმი ჩვენი ანტიპატიის თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ ჩვენი აზრი ამა თუ იმ სახელმწიფოს შესახებ, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს განზრახვა სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევისა.

უნდა აღვიაროთ, რომ ამჟამად საბჭოთა მთავრობა წარმოადგენს რუსეთის მთავრობას და ამ მთავრობის შეიარაღებულ ძალით ჩამოგდების იმედები სავსებით გაქარწყლდა. დადგა დრო, როდესაც სერიოზულად უნდა განვიხილოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ მთავრობასთან, რომელიც ჩვენ უშუალო მეზობელს წარმოადგენს“.

დე-მონზის პროექტის გარშემო

პარიზი, 8 აპრილი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა სასტიკად ილაშქრებს დე-მონზის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს კაპიტალის დაბეგვრას და უწოდებს მას „კერძო კაპიტალისა და საზოგადო კრედიტის უსარგებლო გამაღიზიანებელს და დამშლელს“.

მემარცხენე ბლოკის გაზეთები, პირიქით, მხარს უჭერენ მთავრობას და აცხადებენ თუ ეს ფინანსიური კანონპროექტი არ იქნა მიღებული პარლამენტის მიერ, იმ შემთხვევაში მიმართავენ სახელმწიფოს მოსახლეობას, რომელიც უსათუოდ მხარს დაუჭერს მას.

იაპონია-საბჭოთა კავშირის კულტურული კავშირი

ტოკიო. 8 აპრილი. გაზეთი „ძი-ძი“ მოწინავე წერილში აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ხელოვნების ნაწარმოებთა შენახვის საქმეში და მოითხოვს მოეწყოს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლა რუსეთის ხელოვნების ნაწარმოებთა იაპონიაში და პირიქით, იაპონიის ხელოვნების ნაწარმოებთა რუსეთში გამოფენის საშუალებით.

იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

ლონდონი, 8 აპრილი. თემთა პალატის შეკითხვაზე ჩემბერლენმა განაცხადა: რამდენადაც ვიცი იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ჯერ არ შეუტყობინებიათ ერთა ლიგისათვის და ვინაიდან ხელშეკრულების ტექსტი მიღებული არ არის ინგლისში, ჯერ ნაადრევია მისი ცდა.

სახიფათო მეტოქე

ბერლინი, 8 აპრილი. მემარჯვენე პარტიების ბლოკის გადაწყვეტილების ამბავი ჰინდენბურგის კანდიდატურის წამოყენების შესახებ ყუმბარასავით გასკდა. ჰინდენბურგის მიერ თანხმობის განცხადება ორჯერ უარის თქმის შემდეგ მეტად მოულოდნელია.

ჰინდენბურგის კანდიდატურის გამოცხადება მეტად ამწვავებს საარჩევნო ბრძოლას, რადგანაც მოსახლეობის სხვადასხვა წრეები ჰინდენბურგს სიმპატიით უცქერიან. მარქსისათვის უკეთესი იყო იარრესთან კონკურენციის გაწევა, ვიდრე ჰინდენბურგთან.

იტალია და საბჭოთა კავშირი

იტალია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური კონგრესი

შარშან ივლისში ქ. მილანში დაარსდა „იტალიის ეკონომიური ინსტიტუტი საბჭოთა კავშირისათვის“, რომელმაც თავის უმთავრეს მიზნად დაისახა იტალიისა და საბჭოთა კავშირის შორის ეკონომიურ, სამრეწველო და სავაჭრო ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება.

ეს ინსტიტუტი, რომელსაც ყოველმხრივ მხარს უჭერს როგორც იტალიის, ისე საბჭოთა კავშირის მთავრობა, ეწევა იტალიაში და საბჭოთა კავშირში ფართო პროპაგანდას. ამ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების სასარგებლოდ.

20 აპრილისათვის აღნიშნული ინსტიტუტი მართავს ქ. მილანში პირველ იტალია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ კონგრესს. კონგრესის მიზანია: ყველა იმ შესაძლებლობათა გამორკვევა, რომლებიც ხელს უწყობენ ყოველგვარ ინიციატივას, მიმართულს ორივე ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებისაკენ. კონგრესს დაესწრებიან იტალიის ყველაზე უფრო გამოჩენილ სავაჭრო-სამრეწველო ფირმების წარმომადგენლები. კონგრესი გამოარკვევს იტალიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის საკითხებს, კერძოთ, იტალიაში საბჭოთა კავშირის ხორბლეულობის, სათბობი მასალის და სხვა პროდუქტების შეზიდვის და იტალიიდან საბჭოთა კავშირის ბაზარზე სამრეწველო ფაბრიკატების და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გატანის საკითხს.

ამას გარდა კონგრესი განიხილავს მნიშვნელოვან მოხსენებებს ფინანსიური საკითხების, ტრანსპორტის, ტრანზიტის, კონცესიების და სხვ. შესახებ.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კომერციული ატაშე იტალიის საელჩოსთან მოსკოვში და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

210.000 უმუშევარი

ვენა, 8 აპრილი. ავსტრიაში თანდათან იზრდება უმუშევრობა, უმუშევართა რიცხვი უდრის 210,000 კაცს, უმუშევრებს შორის ძლიერდება უკმაყოფილება, რასაც ხელს უწყობს ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება და უმუშევართათვის სამი თვის განმავლობაში დახმარების მიუცემლობა. კომპარტიის გავლენა უმუშევრებს შორის იზრდება.

8 აპრილს ვენაში შესდგა უმუშევართა კრება, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი უმუშევარი. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს დახმარების გადიდებას და ხაზგასმით აღნიშნავს რევოლიუციონურ ბრძოლის გამწვავების აუცილებლობას.

კრების დამთავრების შემდეგ უმუშევრებს შეტაკება ჰქონდათ პოლიციასთან, რომელმაც იხმარა ცივი იარაღი. დაპატიმრებულია მრავალი უმუშევარი.

გრაცშიაც შესდგა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია, რომლის დროს დააპატიმრეს უმუშევართა მეთაურების დიდი ნაწილი.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი. 9 აპრილი. 8 აპრილს გაიხსნა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის გაფართოვებული პლენუმი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ყოფილ პატრიარქ ტიხონის გარდაცვალება.

მოსკოვი. 9 აპრილი. 7 აპრილს გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა ვასილი ივანეს-ძე ბელნიკი, ყოფილი პატრიარქი ტიხონი.

განსვენებული იყო 61 წლის.

საზოგადოებრივი სამუშაოები ზაფხულში.

მოსკოვი. 8 აპრილი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საზოგადოებრივ სამუშაოების ახალი გეგმა 1925 წლის ზაფხულისათვის. საერთო თანხა, რომელიც გადადებული იქნება ამ სამუშაოებში ჩაბმულ უმუშევართათვის უდრის 8 მილიონ მანეთს.

შეღავათები შინამრეწველობისათვის

მოსკოვი. 8 აპრილი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს სარეწავო და საშემოსავლო გადასახადისაგან ყველა შინა-მრეწველები, რომლებიც სცხოვრობენ და მუშაობენ სოფლებსა და ქალაქებში სხვისი შრომის დაუქირავებლად, ამასთანავე სპეციალური მოწყობილობა და მამოძრავებელი მანქანები არ შეიძლება ჩაითვალოს დაბეგვრის საფუძვლად. ეს შეღავათები ვრცელდება აგრეთვე იმ შინა-მრეწველობაზე და კოოპერატიულ ამხანაგობებზე, რომლებიც იმყოფებიან ქალაქებში და შედიან რესპუბლიკანურ ან საოლქო მნიშვნელობის კოოპერატიულ გაერთიანებებში.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

საფინანსო თათბირზე.

მოსკოვი, 9 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ-კომისარმა სოკოლნიკოვმა ფინანსიურ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა:

„ჩვენი ბიუჯეტის ზრდამ გადააჭარბა ნავარაუდევ ციფრს. ჩვენი ეხლანდელი ბიუჯეტი, რომელიც უდრის 2 ნახევარ მილიარდ მანეთს, შეადგენს ომის წინა დროის ბიუჯეტის 50 პროცენტს. ჩვენ უნდა დავისახოთ მიზნათ, რათა მომავალი წლის ბიუჯეტი უდრიდეს 3 მილიარდ მანეთს.

ჩვენი საგადასახადო სისტემა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას, ვინაიდან იგი წარმოადგენს ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთავარ საფუძველს. საგადასახადო დარგში ჩვენ უნდა დავსტოვოთ პირდაპირ გადასახადების სისტემა, რაც უზრუნველჰყოფს კლასიურ პოლიტიკის გატარებას დაბეგვრის დროს. დამატებას უნდა წარმოადგენდეს არაპირდაპირი გადასახადები, რომელიც საბჭოთა წესწყობილების დროს ეძლევა ასე თუ ისე გამათანასწორებელ დაბეგვრის ხასიათი.

საგადასახადო პოლიტიკის დარგში კონკრეტულ ამოცანად უნდა ჩაითვალოს უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადებით დაბეგვრის რეფორმა ამ მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას გლეხთა მეურნეობის [illegible] კატეგორია და შესაძლებელი გახდეს მისი ყოველ მხრივი განვითარება. სასარეწაო გადასახადის დარგში უფრო მტკიცე საფუძველზე უნდა დავაყენოთ კერძო კაპიტალის დაბეგვრა და თავიდან ავიშოროთ შემთხვევითი და თვითნებითი დაბეგვრა. საჭიროა საგადასახადო სისტემის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველჰყოფდა სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებს, ხელს არ შეუშლიდა საწარმოვო ძალთა განვითარებას მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით.

კრედიტის დარგში უნდა გავაჯანსაღოთ საბანკო კრედიტი და მოვაწესრიგოთ საკრედიტო ქსელის მოწყობა. საკრედიტო მეურნეობის ის სტადია, რომელშიაც ჩვენ მოვექეცით, დიდ შესაძლებლობას გვაძლევს სახელმწიფოებრივ კრედიტის დარგში. გლეხთა მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების პოლიტიკა ხელს შეუწყობს მასში რესურსების დაგროვებას, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას სახელმწიფოებრივ კრედიტის საჭიროებისათვის. მთავარ ამოცანას წარმოადგენს გლეხთა სესხის სოფელში შეტანა. ამ სესხის ხელსაყრელი პირობებით ჩვენ დახმარებას უწევთ გლეხურ მეურნეობას, რომელიც მონაწილეობას იღებს სახელმწიფოებრივ კრედიტის ოპერაციების განვითარებაში.

კერძო კაპიტალის მიმართ სწორი ხაზი, რომელიც გამომუშავებულ იქნა შრომის და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, მდგომარეობს იმაში, რომ კერძო კაპიტალს სათანადო ადგილი უნდა მიეჩინოს ჩვენ ეკონომიკაში და ბოლო უნდა მოეღოს იმ დაბნეულობას, რომელიც გამოწვეულია კერძო ბრუნვის არსებობის ფაქტით.“

საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა

სამხედრო აღმშენებლობის შესახებ

(ამხ. კორკის მოხსენება*)

ამხანაგებო! წინა მოხსენებებიდან ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდება, სოფლის მეურნეობა უმჯობესდება და მოსახლეობის კულტურული დონე იზრდება.

ამ მიღწევებს მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ მათ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მტრებიც. ისინი გრძნობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებით და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებით ჩვენ თანდათან უფრო დამოუკიდებელი ვხდებით იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან.

მეორეს მხრივ, კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები და გლეხები, ხედავენ რა, თუ როგორ აშენებენ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები თავის სახელმწიფოს, ბუნებრივათ, თანდათან უფრო იმსჭვალებიან რევოლიუციონური სულისკვეთებით.

ჩვენს მტრებს აშინებთ რევოლიუციის გაძლიერება, ამიტომ ისინი გაფაციცებით ემზადებიან ახალ ომებისათვის. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ უმჯობესდება ბრძოლის ტეხნიკური საშუალებები კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ეს სიკვდილის მთესველი იარაღები მომართული იქნება ჩვენს წინააღმდეგაც.

აი ამიტომ საქართველოს მუშებს და გლეხებს მუდამ უნდა ახსოვდეთ საგარეო საშიშროება, რომელიც ჩვენ მოგველის. აი ამიტომ ვიხილავთ რა აქ სამეურნეო და კულტურულ საკითხებს და საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს, ჩვენ დღის წესრიგში უნდა შევიტანოთ აგრეთვე სამხედრო საკითხიც.

ჩვენი შეიარაღებული ძალების აღმშენებლობას აქვს მთელი რიგი თავისებური მხარეები: პირველი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს არმიას არ აქვს დაპყრობის და იმპერიალისტური ხასიათის მიზნები. ჩვენს მიზანს არ შეადგენს მრავალრიცხოვან არმიის შენახვა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება საბჭოთა ქვეყანას. ჩვენ არმია შევამცირეთ მინიმუმამდე. საერთო-საკავშირო მასშტაბით ჩვენს არმიაში ეხლა ითვლება 562.000 კაცი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი არმია მეფის არმიასა და ფლოტთან შედარებით სამჯერ შემცირებულია.

ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ჩვენ ყოველთვის ვაყენებდით შრომის ნაყოფიერების დაცვის ინტერესებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი არმია რაც შეიძლება იაფი დაუჯდეს საბჭოთა ქვეყანას. ამას გარდა, თვითეული მუშა და გლეხი მომზადებული უნდა იყოს იმისათვის, რომ იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს მტრებს. აი ამიტომ, ამხანაგებო, აუცილებელი შეიქნა სამილიციო-ტერიტორიალური სისტემის შემოღება ჩვენს არმიაში.

ეხლანდელ პირობებში სამილიციო - ტერიტორიალური სისტემა არის ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის ძირითადი სისტემა. ამ სისტემის მიხედვით ეწყობა ჩვენი შეიარაღებული ძალების სამი მეოთხედი. ამიტომ ტერიტორიალურ მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

საბჭოთა საქართველო ტერიტორიალური მშენებლობის მხრივ განსაკუთრებულ პირობებშია. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ტერიტორიალური მშენებლობის საქმეში ჩვენ გვაქვს საკმაო მიღწევები, აქ, ამიერ-კავკასიაში, და კერძოთ საქართველოში, ჩვენ შესამჩნევათ ჩამოვრჩით.

ტერიტორიალური მშენებლობა საქართველოში დაიწყო წარსულ წელში. თანახმად კავკასიის არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს 22 აპრილის ბრძანებისა, მაშინ არსებულ ერთი ქართული დივიზიის მაგივრად უნდა დაარსებულიყო ორი დივიზია შერეული შემადგენლობით.

შემდეგ ამხ. კორკი შეეხო რაიონების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ დივიზიებისათვის რაიონები დაწესებული იყო ბატალიონების მიხედვით. პირველი ქართული დივიზიისათვის დაწესებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონი, მეორე დივიზიისათვის კი—დასავლეთი საქართველო, ტერიტ. სისტემის მშენებლობის დაწყების დროს ამ საქმეში ჩაბმული იყო მთელი საქართველო, გარდა აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა.

ტერიტორ. მშენებლობის ფართოდ გაშლას საქართველოში ხელს უშლიდა მატერიალური საშუალებების უქონლობა. ამ სისტემის გატარების დროს სამეურნეო ქონება და სასწავლო სახელმძღვანელოები ჩვენ მეტად განსაზღვრულ რაოდენობით მოგვეპოვებოდა.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წელში ადგილი არ ჰქონდა ეგრეთ წოდებულ ტერიტ. გაწვევას, რომლის გარეშე ვერ განვითარდება ტერიტორიალური მშენებლობა.

ტერიტ. გაწვევის სათანადო ჩატარებას ხელს უშლიდა საჭირო თანხების უქონლობა. პირველმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ შერეული სისტემა არ იძლევა გეგმაშეწონილ მუშაობის წარმოების შესაძლებლობას. ამიტომ როდესაც ჩვენ ერთგვარი ჯამი გაუკეთეთ შესრულებულ მუშაობას, ჩვენ იმ დასკვნამდი მივედით, რომ უმჯობესია გვყავდეს არა შერეული შემადგენლობის დივიზიები, არამედ ერთი საკადრო დივიზია და მეორე—ტერიტორიალური.

ამის გამო, ნოემბერში მოხდა ხელახალი რეორგანიზაცია, რომლის ჩასატარებლათ საჭირო შეიქნა რაიონების ხელახლა დანაწილება. ამის შემდეგ ტერიტ. მშენებლობის საქმეში ჩაბმული იქნა მთელი საქართველო, გარდა ზემო სვანეთისა.

ეხლა გადავდივარ იმ მდგომარეობაზე, რომელიც არის მიმდინარე წელში, ესე იგი, იმ მუშაობაზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში.

ამ პერიოდში სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს მუშაობა ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების მოსამზადებლათ. სამოსწავლო პუნქტები ჩვენ მრავლად გვაქვს, მაგრამ ამ პუნქტებს არ აქვთ საკმაო ხელსაწყოები. ამას გარდა, მრავალი განცხადებები და საჩივრები შემოდის იმის შესახებ, რომ ჩვენ ცუდათ გვაქვს მოწყობილი საქმელის, ტანისამოსის და ფეხსაცმელების მიწოდების საქმე, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ წითელი არმიის ხარჯზე ჩვენ ვერ ჩავაცმევთ წვევამდელებს допризывники).

ჩვენი მომავალი პერსპექტივების შესახებ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელში ჩვენ გვექნება საბოლოოდ შემუშავებული წესდება სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, რის შემდეგაც ჩვენ შევძლებთ მეტი გეგმაშეწონილობა შევიტანოთ სამილიციო აღმშენებლობის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს საკომანდო პოლიტიკურ შემადგენლობას მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. ისინი ხშირად იცვლიან სამსახურის ადგილს და იძულებული არიან ორ ადგილას იქონიონ ბინა.

ეს მძიმე ტვირთად აწვება მათ მცირე ბიუჯეტს და ამიტომ ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენს მეთაურთა შემადგენლობას.

ამას გარდა ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ახალგაზრდობას გავაცნოთ სამხედრო საქმე.

აი, ამხანაგებო ის ამოცანები, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე.

---

*) ეს მოხსენება, როგორც აღნიშნული გვქონდა, გაკეთებული იქნა ყრილობის მეშვიდე სხდომაზე.

უკანასკნელი სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მ. ცხაკაია.

ა | კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის წინასწარი გადასინჯვა

(ამხ. გარძიელის მოხსენება)

ყრილობის უკანასკნელი სხდომა იხსნება საქართ. იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. გარძიელის მოხსენებით ა | კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის წინასწარი გადასინჯვის შესახებ.

ა | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი პროექტი შედგენილია საბჭოთა კავშირის ცაკის 1924 წლის 31 იანვრის თარიღით გამოცემული დეკრეტის მეხუთე პუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირში შემავალი ყოველი რესპუბლიკა ვალდებულია შეიტანოს სათანადო ცვლილება თავის კონსტიტუციაში, თუ ამ უკანასკნელის მუხლები არ ეთანხმება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ძირითად საფუძვლებს: მომხსენებელი ყრილობას აცნობს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის იმ მუხლებს, რომლებშიაც შეტანილ იქნა ცვლილება და რომელსაც აქვს პრინციპიალური ხასიათი. კონსტიტუციის საბოლოო დამტკიცება უნდა მოხდეს ა | კ. საბჭოთა მესამე ყრილობის მიერ.

მოხსენების მიხედვით ყრილობა ადგენს დაევალოს მომავალ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განიხილოს დაწვრილებით კონსტიტუციის მუხლები და წარუდგინოს მის შესახებ თავისი მოსაზრებანი ა | კ. საბჭოთა მესამე ყრილობას.

რეზოლიუციების და დადგენილებების მიღება

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მომავალი სამოქმედო გეგმის განსახილველად არსებულ სექციის მუშაობის შესახებ მეორე მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. წულუკიძე, რომელიც ყრილობას აცნობს სექციის მუშაობის შინაარს. დასასრულ მომხსენებელი ყრილობას ურჩევს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარსულ მუშაობის და მომავალ სამოქმედო გეგმის შესახებ რეზოლიუციას, სადაც კომისარიატის საანგარიშო პერიოდის მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი, ხოლო მომავალი სამუშაო გეგმა მოწონებულია.

ყრილობის მიერ რეზოლიუცია მიღებულ იქნა.

მოწონებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა და მისი მომავალი საქმიანობის გეგმა.

ყრილობა იწონებს აგრეთვე განათლების სახალხო კომისარიატის [illegible] დადგენი[illegible] შესახებ.

დასასრულ ყრილობა ამტკიცებს კომისიის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას ტერიტორიალური ნაწილების შესახებ.

რეზოლიუციები მოთავსებულ იქნება შემდეგ ნომერში.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობას ესალმებიან აზერბაიჯანის და სომხეთის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარეები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მისალმებანი ყრილობისადმი

პირველად ყრილობას ესალმება აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მუსაბეკოვი**, რომელიც უძღვნის რა გულითად სალამს საქ. საბჭოთა ყრილობას აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით, აღნიშნავს ეროვნულ მშვიდობიანობის განმტკიცებას და ძმურს თანამშრომლობას ა | კ. ერთა შორის, ერთის მხრივ, და ყველა რესპუბლიკების დიდს ეკონომიურ და კულტურულ წარმატებებს უკანასკნელ პერიოდში—მეორე მხრივ.

სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმება ამხ. **ლუკაშინი**, რომელიც, უკეთებს რა მიმოხილვას საბჭოთა უკანასკნელი ყრილობების მუშაობას, ხაზს უსვამს ყრილობების განსაკუთრებულ საქმიან ყურადღებას სოფლის მეურნეობისადმი.

ყრილობა ამხ. მუსაბეკოვს და ლუკაშინს მქუხარე ტაშით აჯილდოვებს.

ამხ. ლუკაშინის სიტყვის შემდეგ ყრილობას ესალმებიან რკინისგზელთა წარმომადგენელი ამხ. **ლუკაშვიჩი** მექანიკური ქარხნის მუშათა წარმომადგენელი, თბილისის [illegible]ბის სახელით **ელიაშვილი**, არსენალის ელექტრიკ მუშების წარმომადგენელი ამხ. **მატოლიარჩიკი**, მეთამბაქოეებისგან ამხ. **ივანიშვილი** და **ჩელლინა**.

მასწავლებელთა სახელით ქ. **კაბანელი**, მბეჭდავთა სახელით ამხ. **მღებრიშვილი**, ნორჩი პიონერების სახელით პიონერები დამისაშვილი და ჩოდრიშვილი, მესამე რაიონის მუსულმან ქალთა სახელით ამხ. **მურსაკულოვის ქალი**, ინჟინერ-ტეხნიკოსთა წარმომადგენელი ინჟ. გ. ჩხეიძე. ნავთლუღის მუშების სახელით ამხ. **ვაჭარაძე** და **კონოვალოვი**.

განათლების მუშაკთა მისალმებები

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობას მხურვალედ ესალმება განათლების მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია.

ვის შეუძლია—თუ არ განათლების მუშაკს კარგად იგრძნოს და დაინახოს ის უდიდესი მიღწევები, რასაც ადგილი აქვს ჩვენს საბჭოთა აღმშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირ გმირული ბრძოლა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე—საუკეთესო პირობაა საქართველოს მშრომელი ხალხისთვის ბედნიერ მომავლის შესაქმნელად.

გასული წლის ნოემბერში მოწვეული მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა ყრილობა აშკარად და საქვეყნოდ აღიარებს, რომ ყოველგვარი გაუგებრობა, რასაც სამწუხაროდ ადგილი ჰქონდა, მხოლოდ ისტორიული წარსულის ნაშთი ხდება.

დღეს ყველა განათლების მუშაკი მხოლოდ ერთი აზრით არის გამსჭვალული, ესაა: თავის წვლილი გაიღოს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ემსახუროს საქართველოს მუშისა და გლეხის გონებრივ და ეკონომიურ კეთილდღეობას.

განათლების მუშაკთ კარგათ აქვთ შეგნებული დღევანდელი უსაჭიროესი ლოზუნგი: ქალაქისა და სოფლის, მუშისა და გლეხის, დაკავშირება.

განათლების მუშაკნი სიტყვას იძლევიან, რომ თვით გახდებიან ამ ორი ძალის გამაერთიანებელ გზად და ხიდად.

გაუმარჯოს, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობას!

სამანდატო კომისიის მოხსენება

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **ივანოვ-კავკასიელი.**

ყრილობას სულ დაესწრო 353 დელეგატი. ამ რიცხვიდან სათათბირო ხმით არის 25 კაცი.

სქესის მიხედვით დელეგატთა შორის მამაკაცი—337 (ე. ი. 94,4 პრ.), ქალი—36 (9,6 პროც.).

სოციალური შემადგენლობის მიხედვით გლეხი 100 კაცი (ანუ 26,8 პროც.), მუშა 84 (ანუ 22,6 პროც.), მშრომელი ინტელიგენტი 137 (48 პროც.), გაურკვეველი 10 (2,6 პროც.).

პარტიულობის მიხედვით კომუნისტი და კომკავშირელი 265, უპარტიო 88 (ანუ 25 პროც., შარშანდელ ყრილობაზე უპარტიოთა რიცხვი უდრიდა 10 პროც.

ეროვნების მიხედვით ქართველი—277 (ანუ 74,3 პროც.), სომეხი—38 (ანუ 10,2 პროც.), მუსულმანი 14 (3,8 პროც.), რუსი—12 (3,2 პროც.), აფხაზი—14 (3,7 პროც.), ოსი—11 (2,9 პროც.), აჭარელი—14 (3,8 პროც.), დანარჩენი ეროვნების—7 (1,5 პროც.).

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ დაიწყო არჩევნები ცაკის წევრებისა. კომფრაქციის წინადადებით არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები:

საქართველოს ცაკის წევრები და კანდიდატები.

წევრები

1) ათოევი, 2) ვ. ბოლქვაძე, 3) ვ. ბახტაძე, 4) ბერია, 5) გარძიელი, 6) არჩილ გიორგაძე, 7) ს. გეგეჭკორი, 8) თ. ღლონტი, 9) გეურქოვი, 10) გიორგაძე (ქალთა განყოფილებიდან), 11) ა. დოლიძე, 12) ი. ჯორბენაძე, 13) ს. ჯუღელი, 14) ბ. დარახველიძე, 15) ლ. დუმბაძე, 16) ერქომაიშვილი, 17) ქოქიაშვილი, 18) ივანოვ-კავკასიელი, 19) იტრიევი, 20) გ. ყურულაშვილი, 21) ლ. ქართველიშვილი, 22) მ. კახიანი, 23) დ. კანდელაკი, 24) ე. კვანტალიანი, 25) კუპაიძე, 26) ნიკო კიკნაძე („კომუნისტის“ რედაქტორი), 27) ნიკო კიკნაძე, 28) ბ. კალანდაძე, 29) ქ. ქაცარავა, 30) ქ. კაკაბაძე, 31) კვარაცხელია, 32) კიდაიში, 33) შ. ლეჟავა, 34) ფილიპე მახარაძე, 35) მათიკაშვილი, 36) არჩილ მიქაძე, 37) გერ. მგალობლიშვილი, 38) ბ. მაჩაიძე, 39) მეთონიძე, 40) მასხულია, 41) იოსებ მორჩილაძე, 42) ა. ნაზარეტიანი, 43) ს. ორჯონიკიძე, 44) მამია ორახელაშვილი, 45) მიშა ოკუჯავა, 46) მარიამ ორახელაშვილი, 47) ფანცულაია, 48) არჩილ რუხაძე, 49) ვანო სტურუა, 50) ლ. სუხიშვილი, 51) პ. საბაშვილი, 52) პ. საყვარელიძე, 53) ს. თოდრია, 54) ს. ფარნიევი, 55) კ. ხომერიკი, 56) ხუტულაშვილი, 57) მიხა ცხაკაია, 58) კოტე ცინცაძე, 59) გიორგი ჩხეიძე, 60) მ. ჩოდრიშვილი, 61) ს. შავერდოვი 62) შალვა ელიავა.

თბილისიდან

63) სვანიძე, 64) ასრიბეკოვი, 65) ვოლსკი, 66) ძამანაშვილი მიხეილ (უპარტიო), 67) ქავთარაძე ლადო, 68) მელაძე, 69) მზარეულაშვილი, 70) სტეფანოვი (უპარტიო), 71) ასემაშვილი (უპარტიო), 72) ვართაპეტოვი, 73) ენუქიძე ლევან, 74) გოლაშვილი (უპარტიო), 75) სტურუა გ., 76) მორჩილაძე დ., 77) გურგენიძე მიხეილ (უპარტიო), 78) ფირიაშვილი ნ., 79) კოსტოვი, 80) წიკლაური ალექსი (უპარტიო).

არმიიდან

81) კორკი, 82) სნეგირევი, 83) მარკაროვი, 84) ქუთათელაძე გიორგი (უპარტიო), 85) თუხარელი გიორგი (უპარტიო), 86) ჩაიკოვსკი;

ლეჩხუმიდან

87) გორგასლიძე, 88) ონიანი (უპარტიო),

დუშეთიდან

89) ლალიაშვილი ლადო, 90) ჯაფარიძე, 91) არაბული აბიბა (უპარტიო).

ქუთაისიდან

92) ლორთქიფანიძე დ., 98) კიკაჩეიშვილი ს. პ., 94) ნაზარიშვილი ლ., 95) დეედარიანი იოსებ (უპარტიო), 96) გოფაძე ი. (უპარტიო), 97) ჩოგოვაძე ბიქტორ (უპარტიო).

ფოთი

98) გოგია.

აჭარისტანიდან

99) მოწყობილი, 100) ხიმშიაშვილი, 101) ქლენტი თენგიზ, 102) ბარამიძე, 103) სურგულაძე, 104) გოგიბერიძე მამედ (უპარტიო), 105) დოლიძე თედორე, 106) ახალაძე მელიტონ. 107) თავდირაძე რაიმ (უპარტიო).

ახალქალაქიდან

108) მინასიანი, 109) მინასიანი ისკუი (უპარტიო ქალი).

ახალციხე

110) ლვიმიხავა, 111) თიარ მურადოღლი .

გორი

112) ქურდაძე ვასო, 113) სიამაშვილი ანდრია, 114) ცხოვრებაშვილი სერგო, 115) შავდათუაშვილი (უპარტიო), 116) კლიმიაშვილი (უპარტიო), 117) ცლაძე გიორგი (უპარტიო).

კომუნისტი

შორაპანი

118) ცირეკიძე შ. (უპარტიო), 119) ფერაძე (უპარტიო), 120) ნიორაძე მიხეილ, 121) ვაშაძე ალექსანდრე.

სოხუმი.

122 ლაკობა, 123. ჩამბა, 124. კალატოზოვი, 125. შარაბადტეიმ (უპარტიო), 126. რუხაია პეტრე (უპარტიო), 127. ლაღარია ვლადიმერ, 128. ბენია ზოსიმე, 129. ხაბურზანია იასონ, 130. ვარდანიან ეგნეტე, 131. ბახტაძე ნიკოლოზ.

ოზურგეთი.

132. გურგენიძე, 133. რამიშვილი, 134. გოგოშიძე (უპარტიო).

ბორჩალო.

135. შაბანოვი, 136. ალი-ტაგი-ზადე, 137. მამედ რაფი ოღლი (უპარტიო).

თელავიდან.

188. ელისაბედაშვილი, 139. ქურციკაშვილი, 140. ძაუტაშვილი (უპარტიო), 141. მამუნიშვილი ა. (უპარტიო).

სიღნაღი.

142. ჩახნაშვილი, 143. ვარამაშვილი, 144. ძიძავა (უპარტ.), 145. ლომაშვილი (უპარტ).

რაჭა

146. წულუკიძე, 147. გობეჯიშვილი ალექსანდრე (უპარტ),

ზუგდიდი

148. შოგირაძე, 149. ჩხეიძე, 150. ოკუჯავა (უპარტ.).

სენაკი

151. ბედია მაკარ, 152. გეგენავა კ. (უპარტ), 153. ნოდია მიხეილ.

სამხრეთ-ოსეთი

154. ჯატიევი ალექსანდრე, 155. ბეკუზაროვი, 156. გასიევ ნიკოლოზ, 157. გადიევ ნიკოლოზ, 158. ჯატიევ კოსტია, 159. ცხოვრებოვი.

სვანეთი

160. აფრასიძე ბემურზა.

კანდიდატები

1) აბზიანიძე, 2) ავეტისოვი, 3) ბოჭორიშვილი, 4) გოგინაშვილი, 5) ჟვანია, 6) ქავთარაძე აკ., 7) კეკელია, 8) ოკუჯავა ნიკოლოზ, 9) ოვანესიან სოფ. 10) პარკაძე, 11) ფანცხავა (მიწა-ტყის კავშ.), 12) ურუშაძე, 13) ელერდოვი, 14) გამყრელიძე, 15) კორსაველი.

თბილისი

16. სულავა კირილე, 17. ჯიჯინავა ივანე, 18. გეგეჭკორი (ახკომკავშ.), 19. ჯაფარიანი, 20. მამულია ი. 21. ოგანეზოვი.

აჭარიდან

22. ელიაშვილი, 23. მატიუხინი ნიკოლოზ, 24. თავართქილაძე ვლადიმერ.

ლეჩხუმი

25. ხახნელიძე (უპარტიო).

დუშეთი

26. მიქელოვი.

ქუთაისი

27. მიქაძე კატო, 28. მაჭავარიანი ი., 29. ხარაბაძე ი.

ფოთი

30. მეიშვილი.

აჭარისტანი

31. ხვედელიძე, 32. ბერიძე ჰასანი.

ახალქალაქი

33. გოგოლაძე (უპარტიო).

ახალციხე

34. ასათიანი.

გორი

35. ჭყოიძე მიხეილ 36. ეფრემიძე (უპარტიო), 37. ცეხაძე ალექსანდრე.

შორაპანი

38. ჯაფარიძე ალექსანდრე, 39. ფუტკარაძე ნ.

აფხაზეთი

40. გეგენია თ., 41. დომანია, 42. აბგაჯი.

ოზურგეთი

43. კალანდაძე ვარდენ.

ბორჩალო

44. ახუნდოვი ალი, 45. ბაირამოვი ალი.

თელავი

46. ცინცაძე თამარა, 47. პაპუნაშვილი სოსო.

სიღნაღი

48. მოწონელიძე, 59. აივაზოვი.

რაჭა

50. გამყრელიძე.

ზუგდიდი

51. ხვიჩია, 52. ჰუსეინოვი ისმაილი, 53. ლაკობა ეკატერინე (უპარტიო), 54. ოჩიგავა ალექსი, 55. ბეგიზოვი ჩერბენ, 56. კაზიევი ალექსი 57. დვალი პიმენ, 58. ხურცილავა 59. გვიმბრაძე.

ერობნებათა საბჭოში არჩეულნი არიან

1. ელიავა, 2. ფ. მახარაძე, 3. ვ. სტურუა. 4. ლ. სუხიშვილი, 5. არჩილ გიორგაძე, 6. ალანია (აფხაზეთი), 7. მოწყობილი (აჭარა), 8. ბეკუზაროვი (სამხრეთ-ოსეთი).

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობის დელეგატებათ საქართველოდან არჩეული იქნა 258 კაცი.

ყრილობის დახურვა.

არჩევნების დასრულების შემდეგ ყრილობას მოკლე სიტყვით მიმართავს ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც ახასიათებს რა ყრილობის მუშაობას, ამბობს, რომ საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა გამოდგა მეტად საქმიანი და მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, მით, რომ მასში მონაწილეობდა უპარტიოების დიდი რიცხვი და მეორე მხრივ მან თავისი მუშაობის ყურადღების ცენტრად გაიხადა სოფელი და სოფლის მეურნეობა. ორატორი უსურვებს დელეგატებს ნაყოფიერს მუშაობას მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვის შემდეგ საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობის უკანასკნელი სხდომა ინტერნაციონალის სიმღერით იხურება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები აფხაზეთში

სოხუმი. 7 აპრილი. ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები—ამხ. ვინოგრადოვი და ვართანიანი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოო დაწესებულებების და საწყობების დასათვალიერებლად. ჩამოსული ამხანაგები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ბზის დამზადებით.

მანდარინის და ლიმონის სანერგე

სოხუმი. 7 აპრილი. აფხაზეთში ეწყობა მანდარინის და ლიმონის დიდი სანერგე. მომავალი წლის აპრილისათვის სანერგემ უნდა მოგვცეს 40.000 ნერგი.

მოთხოვნილება ყვავილებზე

სოხუმი. 7 აპრილი. მოსკოვიდან მოითხოვეს დიდძალი მიმოზა. უკვე გაიგზავნა მოსკოვში 400 ფუთი მიმოზა, რომელიც უკვე გასაღდა ხელსაყრელ ფასებში.

ყანების დაჩქარებით დათესვა

სოხუმი. 7 აპრილი. გუდაუთის მაზრაში, სოფელ ლიხნში კომკავშირის სასოფლო-სამეურნეო წრის და გლეხების გაერთიანებულ კრებაზე აგრონომის მოხსენების შემდეგ გადაწყდა აპრილშივე საჩქაროთ დათესონ ყანები საგანგებო სათესლე სიმინდით. დამსწრეებს უფასოდ დაურიგდა ბოსტნეულის თესლი.

ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საბჭოთა აპარატის გაწმენდა

ბაქო, 9 აპრილი. ნახიჩევანის რესპუბლიკაში ყოფნის დროს ამხ. რიკოვმა მიაქცია სერიოზული ყურადღება ამ პატარა რესპუბლიკის შიგნით მდგომარეობას. აზერბეიჯანის ცაკმა დანიშნა მთავრობის კომისია, რომელმაც დაათვალიერა ნახიჩევანის რესპუბლიკა.

მდგომარეობის ადგილობრივ შესწავლის დროს გამოირკვა, რომ საბჭოთა აპარატში მუშაობს ბევრი ძველი დროის მოხელე. ადგილებზე ხელისუფლების წარმომადგენლებად იყვნენ ზოგიერთი ყოფილი ბეგები (მემამულეები) და ერთი ყოფილი გუბერნატორიც კი.

ამის გამო დაპატიმრებული იქნენ შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ბაბაევი—ორდუბათის მემამულის შვილი, გლეხების შემავიწროებელი, რომელმაც მიითვისა 15.000 მანეთი ხალხის ფული; მიწადმოქმედების სახ. კომისარი მახმუდ ბეკოვი—დიდი მემამულე, ყოფილი გუბერნატორი; ფინანსთა სახ. კომისარი დადაშევი—ორდუბათის მდიდრის შვილი; იუსტიციის სახ. კომისარი—ყუბანოვი—ყოფილი „გორადავოი“; კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე—კონგერლინსკი—ბეგი; სასამართლოს თავმჯდომარე ბარაზიზადე—მუსავატისტების ეროვნულ საბჭოს ყოფილი წევრი; პროფბიუროს თავმჯდომარე—მახმუდოვი—მუსავატისტი. დაპატიმრებული იქნენ აგრეთვე 25 ბეგი, რომელთაც ეჭირათ საპასუხისმგებლო თანამდებობანი.

დაპატიმრებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რომელნიც გამოსთქვამენ გულწრფელ სიხარულს ამ ამბის გამო.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობის

სხდომები გაიმართება რუსთაველის თეატრში

(რუსთაველის პროსპ.)

ყრილობის ყველა დელეგატები და სტუმრები თეატრში [illegible] **მხოლოდ და მხოლოდ დაწესებული მანდატებით და ბილეთებით.**

დელეგატები გადამწყვეტი და სათათბირო ხმით იკავებენ ადგილებს პარტერში, ბენუარის და ბელეტაჟის ლოჟებში და ტრიბუნაზე, სტუმრები კი მეორე და მესამე იარუსების ბალკონზე.

საორგანიზაციო კომისია.

10 აპრილს, საღამოს 6 საათზე

(ყოფილი „კადეტთა კორპუსი“, მესანგრეთა ქუჩა № 30, მე-8-ე სართ.)

გაიხსნება

სრულ. საქართველოს დამზღვევი ორგანოების

დაზღვეულთა ქვე-განყოფილებების და პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა დაზღვევის

მესამე კონფერენცია

დღის წესრიგი:
1. რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს მოხსენება.
2. შრომის ორგანოები და სოცდაზღვევა.
3. პროფკავშირების როლი და მათი ამოცანები დაზღვევის საქმეში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. ა) საექიმო-საკონტროლო კომისიები და საექიმო საექსპერტო ბიუროები. ბ) ექიმ-რწმუნებულები. გ) მუშების წინასწარი შემოწმება და საიოლო სამუშაოზე გადაყვანა, დ) სიმულიაცია და კონტროლი.
6) საფონდო-საფინანსო საკითხები.
7) დაზღვეულთა მკურნალობა.
8) პროფილაქტიკა.
9) მოხსენებები ადგილებიდან.

3—2. ნის. 1086. **რესპ. სოცდაზღვევის სამმართველო.**

პარტიული ცხოვრება

პიონერთა ორგანიზაციების შესახებ

კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ახალგაზრდა თაობის ჯანსაღათ აღზრდა და ამ აღზრდის ერთერთი ფორმაა პიონერთა ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენში მუშაობენ.

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დაყენებული მუშაობა ამ ორგანიზაციებში თავის დროზე ბევრი დაიწერა „პრავდა“-ს ფურცლებზე, სხვათა შორის დაბეჭდილი იყო ამხ. ბუხარინის რამოდენიმე სახელმძღვანელო წერილიც, რომლებშიაც აღნიშნული იყო ამ ორგანიზაციების მთელი რიგი დეფექტები.

ჩვენ თუ თვალს გადავავლებთ პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას თბილისში, დავინახავთ, რომ ამ მუშაობას მრავალი დეფექტები ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს პიონერის მეცადინეობის საათებს. მთელი რიგი მუშა ქალები-კომპარტიის წევრები აცხადებენ, რომ ჩვენს ბავშვებს ამიერიდან აღარ გაუშვებთ კოლექტივში. მათ მოყავთ შემდეგი მოსაზრება. მე ნებას ვერ მივცემ ჩემს ქალიშვილს, რომ ღამის 12 ან 1 საათზე მოვიდეს სახლში, და ამას ლაპარაკობს არა ერთი, არამედ მთელი რიგი მუშა ქალები. არის ასეთი ხასიათის განცხადებებიც: „ჩემი ბავშვი თამბაქოს წევას მიეჩვია კოლექტივში,“—ეს ბავშვი კი 9-10 წლისაა. ერთი მუშა პირდაპირ ჩიხში მოექცა,—„მე არ ვიცი როგორ მოვიქცე, ჩემი ვაჟი სკოლაში კარგათ სწავლობდა, კოლექტივში შესვლის შემდეგ მეცადინეობას მოუკლო, ვერ ასწრებს გაკვეთილების მომზადებას; ჩვენ დღისით ვეღარც ვხედავთ მას, მოვა თუ არა სკოლიდან, იმ წამსვე კოლექტივში გარბის. მეჩქარება“—ამბობს—სხდომა გვაქვს. წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლება, ცოდვაა ბავშვი.

ეს ფაქტები უდავოა და მრავალი პიონერები (აქტივისტები) ამბობენ, რომ ისინი დატვირთული არიან მუშაობით. პიონერთა ორგანიზაციების ეს მხარეები მრავალ მშობლებში იწვევს უნდობლობას კოლექტივებისადმი და მათ ებადებათ სურვილი არ გაუშვან ბავშვები კოლექტივებში.

ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების უმაღლესმა ინსტანციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის ამ მხარეებს და უნდა გამოასწოროს დეფექტები.

რ.

„ევკოგრუზ“-ის ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედი

8 აპრილს, „ევკოგრუზ“-ის შენობაში შესდგა ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ყველა ამხანაგები.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება არმიის ბიულეტენის № 2-დან გამომდინარე საკითხების და კომუჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ; აპრილის თვის მომავალი მუშაობის გეგმის გამომუშავება და ამხ. ფირცხალაშვილის განცხადება მისი პარტიაში მიღების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ბერაძემ, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა ყველა ის მუხლები, რომელიც ეხებოდა ჩვენს უჯრედს, რის შემდეგ სხდომამ გამოიტანა დადგენილება, რომ ბიულეტენში აღნიშნული ყველა საკითხების მოგვარება, რომელიც კი ეხება ჩვენს უჯრედს, დაევალოს ბიუროს.

მეორე საკითხის გამო კრება ადგენს: ვინაიდან ახლო მომავალში ხდება კომუჯრედის გადასინჯვა, სადაც უნდა გაკეთდეს მოხსენება კომუჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ, ამიტომ ეს საკითხი გადადებულ იქნას გადასინჯვის დღისათვის.

შემდეგ პასუხისმგებელმა მდივანმა წარმოადგინა ბიუროს მიერ შემუშავებული აპრილის თვის მომავალი მუშაობის გეგმა, რომელიც უცვლელად დამტკიცებული იქნა.

დასასრულ სხდომამ გაარჩია ამხ. ფირცხელაშვილის განცხადება მისი პარტიაში მიღების შესახებ და დაადგინა: რადგან ამხ. ფირცხელაშვილს გათავებული აქვს 4 კლასი და პოლიტიკურათ კი მოუმზადებელია, ამიტომ მას მიეცეს წინადადება, რომ ჯერ მოემზადოს პოლიტიკურათ, ხოლო შემდეგ ხელახლა იქნას საკითხი განხილული.

პარტკორი ელიზბარ.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის კომუჯრედი

3 აპრილს, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში შესდგა კომუჯრედის მორიგი ღია სხდომა უპარტიოთა თანდასწრებით.

პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. დერბიჩევმა კომინტერნში შემავალ ორგანიზაციების ბოლშევიზაციისა და მისი ამოცანების შესახებ. მოხსენება მეტად საინტერესო და დალაგებული იყო, რამაც გამოიწვია დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი.

ზოგიერთი დამატებებით დასავლეთში კომუნისტურ პარტიების მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. გეზაგოლდი, რომელიც კარგად იცნობს ევროპაში მომქმედ რევოლიუციონურ პარტიებს.

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. წურინოვის მოხსენება სტამბაში არსებული საწარმოო თათბირის მუშაობის შესახებ. ამხ. წურინოვი მიუთითებდა იმ ნაკლზე, რომელიც დაკავშირებული იყო საწარმოო თათბირის მუშაობასთან და აგრეთვე იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიდენ ამ ნაკლის გამოსწორებას.

უმთავრესი მიზეზი კი ისისა, რომ საწარმოო თათბირის მუშაობა ჯერ-ჯერობით ვერ არის დამაკმაყოფილებელი, არის სტამბის შენობის სივიწროვე, რაც ძლიერ აფერხებს წარმოების გაფართოებას.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საჭიროა შემდეგისათვის მაქსიმუმი ენერგიის დახარჯვა წარმოების უფრო მაღლა ასაწევად და მის სრულ მოსაწესრიგებლათ.

პარტკორი ყ—ნი.

სამხედრო კომისარ. სტამბის 1-ლი კომუჯრედი

6 აპრილს შესდგა ზემოხსენებულ კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრო 100-დე მუშა-მოსამსახურე.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ამხ. სტეპანოვის მოხსენება პოლონეთის პანების აგენტების მიერ მუხანათურად მოკლულ ამხ. ამხ. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის შესახებ.

მოხსენების გამო კომუჯრედის ღია კრებამ გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „ჩვენ, სამხედრო კომისარიატის სტამბის მუშა-მოსამსახურეებს, არ შეგვიძლიან გვერდი აუხვიოთ პოლონელთა პანების იმ საზიზღარ საქციელს, როდესაც ისინი ყაჩაღურად ხოცავენ ჩვენს ამხანაგებს.

ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, რათა პოლონეთის მთავრობას და მის ჯალათებს მოეთხოვოს პასუხი ჩვენი ამხანაგების მოკვლისათვის. ჩვენ მზად ვართ, რათა თოფით ხელში დავიცვათ ჩვენი თავისუფლება.

ძირს პოლონეთის მთავრობა და მისი ჯალათები! გაუმარჯოს პოლონეთის პროლეტარიატს! გაუმარჯოს პოლონეთის ოქტომბერს!“

პარტკორ დ. წერეთელი.

მზადება საკურორტო სეზონისათვის

ბორჯომი

ჯან. სახ. კომთან არსებული საკურორტო სამმართველო მომავალ სეზონში ხსნის პოლიკლინიკას იმ მოქალაქეებისათვის, რომელნიც გაგზავნილი არიან ბორჯომში სამკურნალოდ. პოლიკლინიკაში სამუშაოდ მოწვეულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის ექიმები—ბალნეოლოგიის სპეციალისტები. ყველა პროცედურები, რომელიც აქვს ბორჯომის აგარაკს, დაენიშნება ავადმყოფებს ეხლად პოლიკლინიკის ექიმების დასკვნების მიხედვით. პოლიკლინიკასთან მოწყობილი იქნება ამბულატორია და ბალნეოლოგ-ექიმთა კონსულტაცია.

საკურორტო სამმართველოს სანატორიები

საკურორტო სამმართველო აწყობს 4 სანატორიუმს დაზღვეულ ავადმყოფთა და აგრეთვე იმ ავადმყოფთა საჭიროებისათვის, რომელნიც იგზავნებიან მთავრობის და პარტიული ორგანოების მიერ.

სანატორიები გაიხსნება: აბასთუმანში—ერთი 105 საწოლით, ბორჯომში ორი—75 საწოლით, და ერთიც პატარა ცემში (ცემს იქით) 50 საწოლით.

სანატორიუმი, რომელიც წაღვერში იყო—უქმდება. სანატორიუმის შენობა გადაეცემა დასასვენებელ სახლს.

ახტალა

საკურორტო სამმართველომ გადასწყვიტა გახსნას საკურორტო სეზონი ახტალაში, რისთვისაც საჭირო ხდება წინასწარი მუშაობის შესრულება. უპირველესად ყოვლისა საჭიროა წყლის მიწოდების მოგვარება, რასაც დასჭირდება 16 ათასი მანეთის სესხი. მილების საშუალებით წყალი გამოყვანილი იქნება წყაროდან, რომელიც სამკურნალო ადგილს ორი ვერსით არის დაშორებული: ჩასულ ავადმყოფთა საცხოვრებელ ბინებად შეკეთებული იქნება ბარაკი 100 საწოლით.

გასულ წელს ახტალაზე სამკურნალოდ იყო 1.500 ავადმყოფი (ქარეგბით დაავადებულნი უმთავრესად). ახტალის ტალახის სხვადასხვა ქალაქებში გაზიდვა დაიწყება ზაფხულის დამდეგს. ტალახის ექსპორტი ბაქოში უკვე სწარმოებს.

აგარაკი ბახმარო

საკურორტო სამმართველომ ბახმაროზე მომავალ სეზონისათვის მისულ ავადმყოფებისათვის გამოჰყო 7 სახლი, რომელიც საკურორტო სამმართველოს საკუთრებას წარმოადგენს. ბახმაროზე, რომელიც საქართველოს საგარაკო ადგილებს შორის ყველაზე მაღალ ადგილად ითვლება, წრეულს მოელიან დიდძალ ავადმყოფებს — უმთავრესად ციებ-ცხელებით და ტუბერკულიოზით შეპყრობილთ.

აბასთუმანში

გეორგიევისეულ სახლში (სასახლის რაიონი) მოთავსებული საკურორტო სამმართველოს სანატორიუმი 50 საწოლით მომავალი სეზონისათვის იჯარით აიღო „აზნევთ“-მა. სანატორიუმი მუშაობას დაიწყებს 15 ივნისს და გააგრძელებს 15 სექტემბრამდე.

ახალსენაკ-ზუგდიდის რკინის გზა

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად დაიწყო მზადება რკინის გზის გასაყვანად ახალსენაკიდან ზუგდიდამდე და აქედან სოხუმამდე—შავი ზღვის რკინისგზის მთავარი ხაზის მიმართულებით (შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა იწყება ახალსენაკიდან და მიდის ტუაპსემდე) ტუაპხეში **მუშაობა უკვე დაწყებულია.** როგორც ვიცით შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ რკინისგზის გასაყვან სამუშაოებისათვის გადადებულია მილიონ ნახევარი მანეთი.

საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ა | კავკასიაში აღძრა საკითხი ამ რკინისგზის საამშენებლო სამმართველოს და კომიტეტის მოწყობის შესახებ. კომიტეტში შევლენ სარკინისგზო მშენებლობის მცოდნე ცნობილი სპეციალისტები და დაინტერესებული უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი (ა | კ. რკინისგზების სამმართველოს და სხვ.)

მანძილი სენაკსა და ზუგდიდს შორის უდრის 40 ვერსს. წინასწარი ცნობებით სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის ხაზის გაყვანა დაჯდება 1.600.000 მანეთი. აქ მხედველობაში არის მიღებული ის გარემოება, რომ მრავალ ალაგს ხიდების აგება უკვე დაწყებულია. სენაკ-ზუგდიდის რკინის გზას აქვს აგრეთვე ხეთის შტო, რომელზედაც ამ ორი წლის წინად შეწყდა მოძრაობა, ხის დროებით ხიდების გაფუჭების გამო.

ქრონიკა

— **კონსულტანტების მიწვევის წესი.** დაზღვეულ ავადმყოფისათვის ბინაზე კონსულტანტების მიწვევის წესი რჩება ძველი, (ორდერი ავადმყოფის პატრონს მიეცემა კონსულტანტების ბინაზე მისაწვევათ).

— **ქ. აბანოებით** მარტში (24 სამუშაო დღის განმავლობაში) ისარგებლა 116,075 მობანავემ.

— **ქ. სასაკლაოზე** მარტში დასაკლავათ მორეკილი იქნა 7,410 სული საქონელი, დაიკლა 7311 სული.

— **თბ. სტატისტიკური** განყოფილება შეუდგა მაზრაში მოხალისე კორესპონდენტების ქსელის მოწყობას სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკურ ცნობების შესაკრებათ ადგილებზე.

— **ტაბახმელის საზრატე სადგურისათვის** ხარების შესაძენათ ქ. აღმასკომმა გადასდო 1500 მან.

— **სამკურნალო მცენარეულობის წიგნის** შესადგენათ საჭირო მასალების შესაკრებათ ჯანსახკომის სამკ. განყოფილებასთან დაარსდა კომისია სპეციალისტების შემადგენლობით.

— **საავადმყოფოში მკურნალობისათვის** ორდერების გაცემას დაზღვეულებისთვის აწარმოებს მხოლოდ ქალაქის ჯანმრ. განყოფილების საექ. დახ. განყოფილება.

— **აგარაკ წყალტუბოში** წელს სოც. დაზღვევის სამმართველო აგზავნის 250 დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეს.

— **ციმბირის წყლულის წინააღმდეგ.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის საბეითლო ლაბორატორიამ მარტში დაამზადა 7000 გრამი ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი.

— **„რომელი საათია“?** თბ. ტელეფონის სადგურის ტელეფონისტ-ქალების კრებამ დაადგინა ეთხოვოს ადმინისტრაციას მიიღოს ზომები, რათა აბონენტებმა არ შეეკითხონ სადგურს დროს გასაგებათ: „რომელი საათია“? რაც აფერხებს მუშაობის სისწრაფეს.

— **მედიკამენტების მიღება.** ა | კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 300,000 მან. მედიკამენტები. მედიკამენტები განაწილებული იქნება საჭიროების მიხედვით ა | კ. რესპუბლიკებს შორის.

— **მიღებულია საზღვარ-გარეთიდან** თბ. სახ. ვაჭრობის კომისარიატის მისამართზე საქართველოსათვის ერთი ტრაქტორი და რენტგენის კაბინეტის მოწყობილება.

— **სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალების აღრიცხვა** მთელ საქართველოში დაიწყება დღეიდან და დამთავრდება 10 მაისს.

— **წამლეულობის გაიაფება.** საქ. სახ. მედიკამენტების ვაჭრობის სამმართველომ საგრძნობლათ დაუკლო ფასები წამლეულობაზე.

— **უმუშევართა თავშესაფარი.** შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა თბ. აღმასკომთან ერთად გამოიმუშაოს უბინაო უმუშევართა თავშესაფარის მოწყობის საკითხი.

— **კბილის ექიმების კოლექტივი.** შრ. სახ. კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო უმუშევარ კბილის ექიმთა შრ. კოლექტივის მოწყობა.

— **აგარაკების და სანატორიუმებისათვის** გასულ წელს დამზღვევმა კასამ დახარჯა 245,359 მ. 88 კ.

— **საქ. მ. | გ. ინსპექციამ** დაადგინა მივლინებაში მყოფ პირთათვის მოსპოს ზედმეტი სამუშაოების სასყიდლის მიცემა. გამონაკლისს შეადგენენ ფიზიკურათ მომუშავენი.

— **საბინაო კოოპერაციის გამოკვლევა.** საქ. მ. | გ. ინსპექციამ დაადგინა მოახდინოს საბინაო კოოპერაციის გამოკვლევა თბილისსა და ბათომში.

— **პენსია ინვალიდებს.** მარტის განმავლობაში თბ. დამზღვევმა სალარომ დასახიჩრებულებს მისცა 8,012 მან.

— **დახმარება მშობიარეთ.** თბ. დამზღვევმა სალარომ მარტის თვეში მშობიარეთათვის დახმარების გასაწევათ გაიღო 5411 მ. 68 კ.

— **მაზრებში არსებულ საავადმყოფოების** შესაკეთებლათ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა 1 მილიონის მანეთის რაოდენობით.

— **ფულად დახმარების** მიღების უფლების აღსადგენათ უმუშევართა დამზღვევი განყოფილება 15 აპრილიდან განაახლებს განცხადებების მიღებას უმუშევართაგან.

— **სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა ბიუროს სექცია.** კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზე აწყობს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ტრაქტორების შემოღება საქართველოში“. მოხსენებას გააკეთებს პროფესორი კოს. მიხ. ძე ამირაჯიბი, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის შენობაში ჯორჯიაშვილის ქ. № 5 (ყოფილი ბარიატინის ქ.).

— **„რევოლიუციის მატიანე“.** რედაქციამ მიიღო პარტიის ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ № 1 (11) 1925 წ. შემდეგი შინაარსით: ფ. მახარაძე—თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა, ს. თალაკვაძე—საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის—განყოფილებები: მასალები და დოკუმენტები, 1905 წელი ჩვენში, საქართველოს კომპარტიის თფილისის ორგ. 20 წ. არსებობისათვის, ბოლშევიკური ორგანიზაციები წარსულში, მოგონებანი, ავტობიოგრაფია, რევოლიუციის მსხვერპლნი, პარტიული არქივი, ჩვენი პროლეტარული რევოლიუციის 2 წლის თავი, 1905 წლის 9 იანვარი.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 12 აპრილს დღის 12 საათზე თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ბ. ჭიჭინაძე გააკეთებს მოხსენებას ვოლხოვის ჰიდროელსადგურის შესახებ.

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი მაგალითი

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

იშვიათად შეხვდებით ისეთ მოპყრობას და მოვლას ავადმყოფებისას, როგორც ქალაქის 1-ლ (ყოფ. არამიანცის) საავადმყოფოში. განსაკუთრებით იმსახურებს ამ მხრივ დიდ სიმპატიას ექიმი **გ. ოსიპოვი.** მისთვის სრულიადაც არ არის საჭირო, სავალდებულო პალატებში ავადმყოფების დათვალიერების რეგლამენტაცია. ყოველ საჭირო დროს შეიძლება მისდამი მიმართვა დახმარებისათვის და ის მუდამ მზად არის ასეთის აღმოსაჩენად. მისაბაძია მისი კეთილი მიღება, ყოველ მხრივ ავადმყოფის მდგომარეობაში შესვლა, მათზე მზრუნველობა და სხვა.

იყო შემთხვევა, როცა ზოგი ექიმი ხედავდა ავადმყოფს კრიტიკულ მდგომარეობაში, მაგრამ არ აქცევდა ყურადღებას: „სულ ერთია, მოზუცია, მოკვდეს“-ო, მაგრამ ეს ექიმი ასე არ მსჯელობს; კრიზისში მყოფ ავადმყოფს თავს დასტრიალებს და სასიკვდილო ადამიანს შემდეგ ცოცხალ-მორჩენილს ვხედავთ.

ექიმის ასეთი მოქმედება სწორედ, რომ მისაბაძია და ასეთი ექიმიც დიდი მადლობის ღირსია.

მადლობის ღირსნი არიან ექ. ექ. **ხვედელიძე და ხოჯაიანი,** რომელნიც ენერგიულად და გულწრფელად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათ განყოფილებებში დიდათ არის საავადმყოფოს წესრიგი და სისუფთავე დაცული. დაბალი პერსონალიც ღირსშესანიშნავად დგას თავის ადგილზე და ავადმყოფებიც ძლიერ მადლიერნი არიან.

მშრომელი ქალი **ა. აბრამოვა.**

ფაბრიკა-ქარხნებში

მუშკოოპის საკვებ პროდუქტების ფაბრიკა.

ფაბრიკატები.

აქამდე ფაბრიკა ამზადებდა შემდეგ ფაბრიკატებს: საბავშვო ფქვილს, საბავშვო ნამცხვარს და ნამცხვრებს სახელწოდებით: „ნარევს“, „ორიენტალს“, „ბი-ზონს“ „მუშკოოპს“ და „დესერტს“; ამ უკანასკნელად დაიწყეს მზადება „ნაზი“-სა, „დაისი“-სა; გარდა ამისა კიდევ მზადდება ყავა ქერის და რკოსი, პილპილი, ქიმიურად გაწმენდილი სუფრის მარილი და სოდა.

გამომუშავება და განაღდება.

თებერვლისა და მარტის განმავლობაში ფაბრიკამ დაამზადა **2.930 კოლოფი** საბავშვო ფქვილი, აქედან გაიყიდა 1.[illegible] კოლოფი. საბავშვო ბისკვიტი დამზადდა 5.541 ფუნტი და გაიყიდა 4,690; ალნიშნულ [illegible] **8.867 ფუთი და 79,5 გირ. აქედან გაიყიდა—2.682 ფ. და 7875 გირ. მარილი დამზადდა—994 გირ. გაიყიდა 8.620 გირ.** (ნაწილი წარ. სულ თვეების გამომუშავება), **პილპილი 2.706 კოლოფი, გაიყიდა 2404 კოლოფი.**

შენობის მხრივ ფაბრიკა დიდ სივიწროვეს განიცდის, მასალები და სხვაგვარი ნივთები (ყუთები) უადგილობის გამო გარედ აწყვია, რაც მათ უქადის ყოველთვის დაკარგვას. თვით გამგის ოთახშია მოთავსებული კანტორაც და ფაბკომიც. აქვე აწყვია სხვადასხვა ნივთები; ისე, რომ მოსაბრუნებელი ადგილი არ არის.

ფაბკომი.

აქამდე ფაბრიკა შეერთებული იყო რაიონულ ფაბკომთან; ეხლა უკვე მუშკოოპის საშაქარლამო და საკვებ პროდუქტების ფაბრიკებს თავისი საკუთარი ფაბკომი ჰყავთ. აქამდე არავითარ კულტურულ მუშაობას არ ჰქონდა ადგილი იქ, ეხლა კი ახალი ფაბკომი ენერგიულად მოეკიდა ამ საქმეს და მუყაითად მუშაობს.

საწარმოვო თათბირი სისტემატიურად ეწვევა ხოლმე და ენერგიულადაც მუშაობს.

ინფ. ტ-კა.

ძირს ლოთები!

(რკ. გზის პროფკავშირის საყურადღებოდ)

ხშირი მოვლენა არის კახეთის მატარებელზე ლოთების შეხვედრა, რომელთაც მგზავრებში ალიაქოთი შეაქვთ და ვაგონებსაც ზარალს აყენებენ ფანჯრის შუშების ჩამტვრევით.

საჭიროა ყოველ ნაბიჯზე მათთან ბრძოლა. ინფ. პერო.

ალაგმეთ ალვირ-ახსნილი ქალბატონი

(მთ. მილიციის საყურადღებოდ)

მეთერთმეტე უბანში, მუშთა შესახვევში, სცხოვრობს სახლის პატრონი ვინმე **ქეთევან ვაზაგაშვილი,** რომელიც თავის უმსგავსო ყოფაქცევით და ლანძღვა-გინებით მეტად ავიწროებს ამ უბანში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთ.

საჭიროა ამ ქალბატონის ალაგმვა.

მუშა კოუ—უხი.

ხელოვნება

მოზჟუხინის გასტროლები

„რუსალკა“.

მეწისქვილეს პარტია ცენტრალურია ოპერაში და ის მდიდარ მასალას იძლევა დრამატიული თამაშისათვის. მოზჟუხინს მშვენივრათ აქვს გათვალისწინებული ეს გარემოება და მეწისქვილის როლიდან ჰქმნის ცოცხალ სახეს.

პირველ მოქმედებაში ის შურიანი და ეშმაკი გლეხია, მაგრამ მოქმედების ბოლოს, როდესაც მის ქალიშვილს მიატოვებს თავადი, ის ღრმა დრამას განიცდის. განსაკუთრებით ლამაზია ფინალის მომენტი.

მეწისქვილის პარტიაში ყველაზე უფრო ნათელი ფურცელია მესამე აქტი, როდესაც ყოფილი შეძლებული გლეხი მის თავზე დატეხილ უბედურების გამო (ქალიშვილის თვითმკვლელობა) გადაიქცევა ყველასაგან მიტოვებულ ნახევრათ მშიერ და გიჟ მოხუცათ. აქ დრამატიული მხარე მოზჟუხინის შესრულებაში ერთნაირად ჰგვრის მაყურებელს, თუმცა ტყვილა მიმართავს მსახიობი ხანდახან ხაზგასმულ დრამატიზაციას (მოგონება შვილიშვილზე), ამ სცენის შესრულების კარდინალური მხარეა რეალიზმი. საუცხოვო გრიმი, მრავალფეროვანი მიმიკა და მკაფიო დიქცია აძლიერებს შთაბეჭდილებას.

ვოკალური გადმოცემა, რასაკვირველია, მოფიქრებული და მუსიკალურია, მაგრამ ის თითქოს მაინც ჩრდილშია მოქცეული, რადგან მსახიობი მთავარ ყურადღებას აქცევს დრამატიულ მხარეს. ამით აიხსნება ალბათ ის, რომ მსახიობი ხშირათ მიმართავს ღია (თეთრ) ხმოვანებას სიმღერაში (დიალოგი თავადთან, მეოთხე აქტის ფინალის სცენა). ფრაზირივკა გამოკვეთილია.

კარგათ მღერის ნატაშას პარტიას სედენკო. მუსიკალურათ მღერის და ოლღას ცოცხალ სახეს იძლევა ნეიმანი. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ბაბკინა თავადის ქალის პარტიის შესრულებით.

თავადის პარტიას მღეროდა სტრუკოვ-ბარათოვი. ვოკალური მხარე მიუღებელია (მუსიკალური ტექსტი და რიტმი არ არის დაცული), სცენიური გადმოცემა მოფიქრებულია.

საუცხოვოთ მიყავს საორკესტრო ნაწილი დამსახურებულ მსახიობს სტოლერმანს. გამოყოფილია ყველა ლამაზი პერიოდები და კონტრასტები.

ლამაზათ ცეკვავენ ჰაბუკიანი, კაზინეცი, რატუშენკო, ფეოდოროვა, დიმიტრიევა და გუდულოვა.

პ. ბ.

— **მოზჟუხინის გამოსათხოვარი გასტროლი.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მოზჟუხინის გამოსათხოვარი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „ოქროს მამალი“.

— **„გაზი გაზის წინააღმდეგ“** ამ დღეებში კინოკავშირში (მუშათა სასახლე) ნაჩვენები იქნება აზერბეიჯანის ფოტო-კინოს ფილმა „თვალი თვალის წილ“ ანუ „გაზი გაზის წინააღმდეგ“. მთავარ როლს ასრულებს ს. ტროცკი.

— **პიესა-ლეგენდა „სიკვდილი“.** პართენ გოთუამ დასწერა ახალი პიესა-ლეგენდა „სიკვდილი“ საქართველოს წარსული ცხოვრებიდან.

— **საბავშვო წიგნები.** ანასტასია წერეთლისამ გადასწყვიტა სოფლის სკოლებს უფასოთ დაურიგოს გასულ წლებში გამოცემული „ჯეჯილი“-ს 2—2 ცალი.

— **აკაკის საფლავზე** კვირას გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო.

— **მე-10 საბავშვო სახლის** სასარგებლოთ დღეს თეატრ „ტარ[illegible]“ გაიმართება საღამო.

დღეს კინოებში

— აპოლო—„იქ, სადაც ვაჭრობენ სულითა და ტანით“.

— არფასტო—„მეპაპიროსე ქალი მოსელპრომიდან“.

— სოლეი—„შემთხვევითი ცოლი“.

— მინიონ—„თეთრების ფრონტის ზურგში“.

— პალასი—„მარკიტანკა სიგარეტ“

— აისი—„ნავთიანი კარიერა“

— თითიმფრინავი—„ცხოვრების საქანელა“.

— თახის—„მხეცებსა და ცეცხლს შორის“.

შემთხვევები

— თავდასხმა. 8 აპრილს საღამოს 8 საათზე შავნაბადის გზაზე სოფელ თელეთის მახლობლად ილიკო სარუხანოვს და იაგო ასლამაზოვს თავს დაესხა ორი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი, რომლებსაც წაურთმევიათ ფულად 28 მან., 1 ჯიბის დანა და ქისა.

— თავის დაღრჩობა. 8 აპრილს დილის 11 საათზე გარსო ოგანეზოვმა, მცხ. შამხორის ქ. № 27, განაცხადა, რომ ის მდგარა თავის დუქნის წინ და დაუნახავს ვიღაც მოქალაქე, რომელიც გადავარდნილა მტკვარში, ტანთ ეცვა შავი პალტო და თავზე ეხურა „კეპი“.

— თვითმკვლელობა. 8 აპრილს ღამით ნავთლუღის ქუჩაზე სამხედრო გოსპიტლის მახლობლად თავი მოიკლა რევოლვერით სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კურსანტმა ივანე ეროსევმა. მიზეზი თვითმკვლელობისა გამოურკვეველია.

— ქურდის შეპყრობა. 8 აპრილს საღამოს კომუნალურ ქუჩაზე შეპყრობილი იქნა დუქანში ბოროტ-მოქმედი ევსტაფიე რუდამიოტკინი, რომელიც სცდილობდა ეიდაროვის დუქნის გატეხვას.

— 8 აპრილს კამოს ქ. № 95 გაქურდული იქნა თეთრაშვილის ბინა. მიღებულ ზომებით ბოროტ-მოქმედი მოპარულ ნივთებით შეპყრობილი იქნა. ის აღმოჩნდა ბაგრატ ყაზარიანი.

— ქურდობა. 8 აპრილს დილით მატინოვის ქ. № 27, ფანჯრის მინის გატეხის საშვალებით გაქურდული იქნა ბურდულ-ოღლის ბინა, საიდანაც წაღებულია 40 მან. ნივთები. ეჭვით დაპატიმრებულია შალვა კენაძე, მცხოვრები ელისაბედის ქ. № 68.

— ანდრიას ქ. № 16 მორგებულ გასაღების საშვალებით გაქურდული იქნა მარო ნინოძეს ბინა. წაღებულია 282 მან. ნივთები.

— 7 აპრილს ღამით სოფ. [illegible] გაქურდული იქნა მანგლისის კოოპერატივის განყოფილება, საიდანაც წაღებულია საქონელი 250 მანეთისა.

— ვანო კაბიძემ განაცხადა, რომ ცენტრალურ ბაზარზე მას ამოაცალეს 210 მან. ფული.

— 7 აპრილს იზმაილოვის ქ. № 26 ამერკომის პირველ საბავშვო სახლიდან მოპარული იქნა ერთი საწერი მანქანა და საცვლები.

— 7 აპრილს მოქ. ჩხეიძემ განაცხადა, რომ კარლ მარქსის მოედანზე, რესტორან „ნაღ კურორტ“-ში მას მოპარეს პორტფელიდან 200 მანეთი. ამ საქმის გამო დაპატიმრებული იქნა პეტრე ლოთანიშვილი.

პროვინციაში

უნებლიე შეცდომა

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 72-ში ლიხაურის თემის აღმასკომისადმი წამოყენებული ბრალდება გაუგებრობით არის გამოწვეული.

ეს გარემოება თვით წერილის ავტორს ქ. ვ. არ დარჩენია შეუმჩნეველი. გაუგებრობა თვითონ ჩემ მიერ არის გამოწვეული:

გაზეთ „კომუნისტი“-ს 1924 წ. № 80-ში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „პროვინციის კორესპონდენტების რეგისტრაცია“. ამ წერილში რედაქცია მოუწოდებდა ადგილობრივ პარტიულ, პროფესიულს თუ სხვა ორგანიზაციებს, რომ მათ სიფრთხილით აერჩიათ კორესპონდენტი (სადაც ასეთი არ ჰყავდათ).

მეც გამოვდიოდი ამ შეხედულებიდან და ადგილობრივ აღმასკომს შესაფერი მოწმობა ვთხოვე და ერთ-ერთ საკორესპონდენციო წერილს ავედე ... ამ მოსაზრებით, რომ რედაქცია დარწმუნებულია ჩემი კორესპონდენტად არჩევის კანონიერებაში. რაც შეეხება იმას, რომ 1925 წ. გაზ. „კომუნისტი“ს № 15 პარტიის ცეკას ცირკულიარით გაუქმებულია კორესპონდენტების არჩევა, ეს შეცდომის დაშვების შემდეგ მომაგონდა.

აპ. კონტრიძე.

ნოსირის თემში

(სენაკის მაზრა)

23 მარტს ამოვარდა ძლიერი ზენაქარი, რომელიც გაგრძელდა 25 მარტამდი. ქარმა წაალეკა და დაანგრია სასიმინდეები, სახლებს ახადა და მოგლიჯა სახურავები, დაამტვრია დიდრონი ხეები და წაალეკა და მოიტაცა ჩალის ზვინები. სახლების განადგურებული სახურავები ჯერაც დაუხურავი და გაუკეთებელია.

გლეხკომი ამ დღეებში ხსნის საუცხოვოდ მოწყობილ ფურნეს, რომელიც მიაწოდებს გლეხებს პურს.

ობოლი გლეხი.

დვაბზუს თემი

(ოზურგეთის მაზრა)

ამა წლის 27 მარტს შესდგა დვაბზუს თემის საბჭოს მორიგი სხდომა ამხ. მ. ღლონტის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო ოზურგეთიდან სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. რამიშვილი.

საბჭოს შემადგენლობაში დიდი უმრავლესობა გლეხებია. პირველად კრებამ მოისმინა სხვადასხვა სექციათა თავმჯდომარეების მოხსენებანი, რომლებმაც წარუდგინეს საბჭოს თავ-თავიანთი სექციის მომავალი მუშაობის გეგმა, რაც კრების მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა. დიდის ენტუზიაზმით იქნა განხილული ფოსტა-ტელეგრაფის და საექიმო პუნქტის ამ თემში გახსნის საკითხი. მიუხედავათ ეკონომიური სივიწროვისა, აქაური მოსახლეობა უკანასკნელ გროშს არ იშურებს კულტურულ-განმანათლებელ საქმისთვის.

რადგან ხსენებულ დაწესებულებათა მოსათავსებლად შესაფერი შენობა არ იყო, საბჭომ გადასწყვიტა იქნას შეძენილი საამისო შენობა. საქმის მოგვარება მიენდო ტექნიკურ და სანიტარულ სექციებს. ფულის გადახდევინებას დაბეგვრითი ხასიათი რომ არ მისცემოდა, გადაწყდა ჩამოვლის საშუალებით იქნას აკრეფილი საჭირო თანხა მოქალაქეთა სრული ნებაყოფლობით.

გ. ქილიფთარი.

შეფო, გამოიღვიძე

წერილი სოფ. ატენიდან

სოფ. ატენი ძალიან უყურადღებოთ არის მიტოვებული. შეფათ გვყავს თბილისის მეტყავეთა კავშირი, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ატენის გლეხობას. ჩვენი შეფი არ გვსტუმრებია შარშან ოქტომბრის შემდეგ.

შეფო, მიაქციე ყურადღება საშეფო სოფელს.

გ. ვანიშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **შორაპნის** მაზრის სოფ. დილიკაურის გლეხკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა აბანო „ნიჩაფა“-ს მასზე გადაცემის შესახებ.

— **სენაკის მაზრაში** ამ ჟამად რკინისგზისათვის შპალის დასამზადებლათ თათემის მუშაობს მცხოვრებთა 50 პროც.

— **სამაგალითო თემები.** შორაპნის მაზრის თემები მოლითი და პე[illegible]სა, როგორც სამაგალითო თემ[illegible], დაჯილდოებული იქნენ რა[illegible]თი.

— **გლეხკომის სახელოსნო.** ახალ[illegible] გლეხკომმა გადასწყვიტა გა[illegible] თავისი საკუთარი საზეინკლო სახელოსნო, სადაც იწარმოებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება.

— **სიმინდის დამზადება.** სენაკის გლეხკომი შეუდგა მაზრაში 100,000 ფ. სიმინდის დამზადებას.

— **კოოპერაციის მაგიერ.** სოფ. ვალეში (ახალციხის მაზრა) ადგილობრივი გლეხკომი ხსნის საკუთარ სავაჭროს.

— **ყარაიაზის სარაიონო** გლეხკომმა გაიყვანა არხი 650 საჟენის სიგრძეზე.

— **დუშეთის მაზრაში** არსებობს 42 სასოფლო და 10 სარაიონო გლეხკომი.

— **საექიმო სადგური.** სოფ. საჰამიასერში (გურია) გაიხსნა საექიმო სადგური.

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას

ჟურნალ „საისტორიო მოამბის“ მეორე ნომერში ჩვენდა უცნობად მოთავსებული ზოგიერთი წერილების მიუღებელი ფორმა და კილო ჩვენ, ამ განცხადებაზე ხელისმომწერთ და ხსენებული ორგანოს თანამშრომლებს, რომელთაც ამგვარი წერილების წმიდა სამეცნიერო გამოცემაში დაბეჭდვა დაუშვებლად მიგვაჩნია, გვაიძულებს ვაუწყოთ საზოგადოებას შემდეგი: აღნიშნულ ჟურნალს ხელმძღვანელობს ერთადერთი რედაქტორი, რომელიც იმავე დროს პასუხისმგებელია ამ გამოცემის მიმართულებისა, ხოლო ჩვენ, პერსონალურად მიწვეული თანამშრომლები, პასუხს ვაგებთ მხოლოდ იმ წერილებისა და შენიშვნებზე, რომელთაც ჩვენვე ხელს ვაწერთ.

4 მარტი 1925 წ.

თბილისი.

P. S. ეს წერილი მოთავსებული უნდა ყოფილიყო „საისტორიო მოამბის“ მორიგ წიგნში, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გადაგვაქვს გაზეთის ფურცლებზე, და ამით აიხსნება ზემოაღნიშნული თარიღი (4 მარტი).

ამირანაშვილი შალვა, გორდეევი დიმიტრი, თოფურია ვარლამ, მელიქსეთ-ბეგი ლეონ, პოლიევქტოვი მიხეილ

4 აპრილი 1925 წ.

ჩვენი ფოსტა

ს. ხეთა. ზუგდ. მ. გ. ჩიხლაძეს. თქვენგან მიღებულია 3 მან. და ათი შაური; ამ ფულით გამოგიწერეთ გაზეთი 1 მარტიდან 1 აგვისტომდე, რომელსაც, როგორც თქვენ თვითონ აცხადებთ, სისტემატიურად იღებთ. რაც შეეხება პრემიალურ წიგნებს, რომლებიც, რედაქციის პირობისამებრ, უნდა დარიგებოდათ ექვსი თვით გაზეთის ხელისმომწერთ, ასეთები თქვენ არ გამოგეგზავნათ, რადგან გადახდილი გაქვთ მხოლოდ გაზეთის 5 თვის ღირებულება.

ნიგოითი. საბჭოთა აფთიაქის გამგეს ავქსენტი ნიკოლაიშვილს. თქვენგან მიღებულ საფოსტო ბლანკზე სიტყვა-სიტყვით ასე სწერია, ნიგოითის საბჭოთა აფთიაქის გამგე ავქსენტი ფირცალაიშვილი.

ამაზე მეტი არც იქ და არც მეორე გვერდზე არაფერი სწერია. ახლა თქვენთვის ცხადია, თუ ვინ არის დამნაშავე, სამისამართო ბლანკის ხელახლა დასაბეჭდათ კანტორას უნდა გამოუგზავნოთ კიდევ 26 კაპ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ა.-წ. 15 აპრილს, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებით რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში მოწვეულია **საორგანიზაციო და საინფორმაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი.**

დღის წესრიგი:

1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების მდგომარეობა, უახლოესი საორგანიზაციო ამოცანები და თანამოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, 3) პარტორგანიზაციების განმაწესრიგებელი მუშაობა, 4) საინფორმაციო მუშაობა და 5) მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა: ეროვნულ რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების, დედა-ქალაქების კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ქუთაისის, ოზურგეთის, შორაპნის, განჯის, ნუხის, ლენინაკანის სამაზრო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები; ეროვნულ რესპუბლიკების ცეკას და დედა-ქალაქის კომიტეტების საინფორმაციო განყოფილებათა გამგეები.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განმანაწილებელი განყოფილების გამგე—**მურავიოვი.**

პარასკევს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება ქალაქის რაიონის პოლიტიკური ცოდნის სკოლების და წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

10 აპრილს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება საწარმოო თათბირების მუშაობის მომწესრიგებელ კომისიის თათბირი.

სავალდებულოა ამხ. მუჩაიძის (პროფკავშირთა საბჭო), ქელიძის (პროფკავშირთა საბჭო) და მეთონიძის (კომკავშირის თბილისის კომიტეტი) გამოცხადება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. პავლე ვასილის ძე ბორისოვს გამოცხადდეს ორი დღის ვადაში.

სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 10 აპრ. (პარასკევს) კომუჯრედის კრება შესდგება ჩვეულებრივათ. დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმულია კომინტერნის სექციების ბოლშევიზაცია.

შაბათს, 11 აპრილს, დღის 1 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის

საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: გუდავაძე, ფანცულია, ცინცაძე, რონზანი, ფირალოვი, მურადოვი, აკობოვი, ხუნდაძე, ასრიბეკოვი, კიდაიში, გობეჩია, ფედეევსკი, ლამაი და მირაქოვი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

არსრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც ირიცხებიან განათლების მუშაკთა კავშირში, გამოცხადდენ რაიკომის საორგ. განყოფილებაში სამი დღის განმავლობაში ჯანათ. მუშაკთა უჯრედში გადასაგზავნათ.

ლიბერმანი მარია, მედვედევი, ივანნიკოვი, კარაგულიანი, აკოფოვი, კალანდაძე, ჯიანჯღელაშვილი-მურავიოვი, პოღოსიან ოვანეს, კარბელაშვილი, ციცერიძე, მაჩხნიაშვილი, იოვძე ისმაილ, ოდილავაძე შალვა, პაიჭაძე ვლადიმერ, კოპჩევსკი კაზიმირ და სუხარევა.

საორგ. განყ. გამგე—წითლიძე.

თ. კ. აღმრიცხ.-განმანაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. სანაკოევს (რკინისგზიდან) და სეროფიანს (დამტვირთველ ბიუროდან), 10 აპრილს, დილის 11 საათზე გამოცხადდენ ამხ. საკოვთან.

არსრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, კვირას, 12 აპრილს, დილის 10 საათზე, გამოცხადდენ რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე პარტიის კანდიდატობიდან ნამდვილ წევრობაზე გადასაყვანად:

ასაშვილი ვლადიმერ, არჩვაძე ვალენტინ, არუთინოვი ტიგრან, აბესოვი ალი, აფრიკოვი ეფრემ, ანდრიასოვი ხაჩატურ, არაქელოვი ვასილ, არახჩიანი ამაიაკ, არუთინოვი არშაკ, არხიპოვი ლავრენტი, არუსტამოვი გრიგოლ, არანოვიჩი მოსე, ბუხრაშვილი გრიგოლ, ბერიძე სერგო, ბელოუსოვი ნიკოლოზ, ბაკუნინ ივან, ბეკაია ალ., ბონ არენკო პეტრე, ბოლოტინ ვასილი, ვიხოდცევი მიხეილ, ვარდენკო ადოლფ, ვერტომოვი სერგო, კორსკი ალ., გასპარიან კარაპეტ, გევორქიან ამბარცუმ, გალუსტოვი კარაპეტ, გელიაზაროვი ანტონ, დარჩიაშვილი გიორგი, ჯოხაძე კოსტა, ელიაშვილი კოსტა, ზეიროდაშვილი ლევან, ზამკოვაია მარია, ზალიევი ვაგან, ზვონარიოვი ალ., ზამკოვი ვასილი, ქაროვი მიხეილ, ინაური ვასო, კარაპეტაშვილი გრიგოლ, კასრაძე გიორგი, კერესელიძე ვლ., კანდელაკი ივ.ნ, კარაგოზიან კარაპეტ, კრისტიან ვიქტორ, კალამეიცევა სოფიო, კონირინა ზინაიდა, კოზლოვი გრ., კოდოლაევი შალვა, კოლხიდოვი გიორგი, ლეკიშვილი ალექსი, მკრტიჩიან არამ, მარდოევ რაჟდენ, მხითარიან სარქის, მინასიან, არშენაკ, მურადიან გარეგინ, მაშკევიჩ ლაზარე, მირონოვი ფეოდორ, ბელიკიან ბეგლარ, ნინოშვილი იოსებ, ჰალენკო კონსტანტინ, ნაიდენოვი ალ., პეტერს ფეოდორ, პეტროსიან კარაპეტ, პაშინანც ბოსეგ, როდინოვ ივან, საკოკი სოკრატ, სარქისიან არუთავაზ, სეტიანცი ივან, სობოლევსკი ივან, სარიჩვა ეკ., იათუნაშვილი ანტონ, თაროზოვი გარეგინ, თარახჩიან ანნა, თომასოვი აეეტიკ, ხაჩიკიან ვართანუმ, ხაჩატუროვი ხორენ, ჩივაძე იოსებ, ჩახმახსაზოვა სუსანა, ჩიკუაშვილი ვლ., შიმანოვსკი ვასო, შიკო ლიუდვიგ, იურჩენკო ლუკა, ელბაქიძე ალ., ექმაქჩიევი არტემ.

მდივნის მაგიერ—მე[illegible]ძე.

განცხადებები

აკაკის სამარესთან მთაწმინდაზე

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია პატივისცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. | წ. აპრილის 12, კვირას, შუადღის სრულ 12 საათზე თავისი ყოფ. სასიქადულო თანამშრომლის

საქართველოს სახელოვანი მგოსნის

სულმნათი აკაკის

გარდაცვალებიდან ათის (10) წლის შესრულების აღსანიშნავად მგოსნის სამარესთან მთაწმინდაზე გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდზე დასწრების მსურველნი მობრძანდებიან ყვავილით მგოსნის სამარის შესამკობად. პანაშვიდზე მონაწილეობენ ქართული ხალხური გუნდი (კიწი გეგეჭკორის, დები თარხნიშვილების, ალ. მაისურაძის, მე-4-ე შრომის სკოლის და სხ.) მონაწილეობის მიღების მსურველთ, სიტყვის მთქმელთ და სხ. მიმართონ „თეატრი და „ცხოვრება“-ს რედაქციის რწმუნებულს.

ნის. 1098 3—1 „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია

[illegible] დედა და დები, შვილები ვერა, ელენე და ვარიამი და სიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ანდრიანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 8 აპრილს გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ქმარი, მეორეთა ძვირფასი მამა და უკანასკნელის სიმამრი

ივანე ქაიხოსროს ძე

აბაშიძე

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 11 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება ს. კოთარ ბ-ნიდან – ჩერქეზიშვილის ქ. № 73.

მეუღლე კონსტანტინე ვასილის ძე, შვილები ალექსანდრა (საშურა), სალომე, ვასილი და ალექსანდრე; სიძე ივანე ვლადიმერისძე გუნცაძე, და და-ძმა ნინო და ვასილი დონდუები. მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ევდუკი იაკობის ასული

ხუსკივაძის

წლის წირვა და პანაშვიდს, რომელიც გადახდილი იქნება შაბათს, 11 აპრილს დღის 12 ს. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

913 1—1

განათლების მუშაკთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი ამხანაგ მასწავლებლის

სამუელ გორგოძის

გარდაცვალების გამო, რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს, 11 აპრილს ლიხაურში.

1095 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქეთევანი, სიდედრი ეკატერინე, სიმამრი ივანე მინაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა | წ. 9 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორეების სიძე

ივანე ილიას ძე ფლიცლერი

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას, ა | წ. 12 აპრილს ნაშუადღევის 2 საათზე, ჰავჭავაძის ქ. № 29. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა).

909 1—1

მარიამ ივანეს ასული სარაჯიშვილისა, ეკატერინე ივანეს ასული ოატისა, რაისა ივანეს ასული ბადაშვილისა, ნიკოლოზ და ალექსანდრე ივანეს ძეები ლაფერაშვილები ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, მათი ძვირფასი და საყვარელი დედის, დედამთილის, სიდედრის და დიდედის

თეკლე სვიმონ ციციშვილის ასულის

ლაფერაშვილის

გარდაცვალებას ამა წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე პეტროგრადის ქ. № 5. გასვენება კვირას, 12 ამა აპრილს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე სასაფლაოზე.

912 1—1

დამწუხრებული სიდედრი ვასასი, შვილები ოლიჩკა, მოსნიკა, გელვარდი, ვერიჩკა და ელენა, მაზლი ილია, რძალი გოგონა შვილებით კალანდაძეები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს დაუვიწყარ

ცირას

გარდაცვალებას

ნ. 1094 1—1

გაუბედურებული მეუღლე ლავროსი და შვილი მონდე, დამწუხრებული: დედა დაფინე, მამა სოლომონი, დები: ლოლა, ნიფოდორა და ანიკო კალანდაძეები ვაუწყებთ ნაცნობთ-გულშემატკივრებს, რომ მოგვიკვდა უსაყვარლესი

ცირია

დასაფლავება მოხდება ხიდისთავში, გურა.

ნ. 1094 1—1

[illegible]: დავით გოიგოლის ძე, ოლიკა, მინა პავლეს ძე, ბიცოლები: უფროსინე და ალექსანდრა, ბიძაშვილის შვილები: პავლუშა, გოგია, ვალოდია, ვასილ და მარგალიტა ნასარიძეები, მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავთ და მეგობართ, მათ ბიძაშვილის

თამარა ალექსანდრეს ასული

ნასარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 10 აპრილს. გამოსვენება მოხდება ნაშუადღევის 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

908 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 10 აპრილს,

ურიის ქალი

შაბათს, 11 აპრილს,

უკანასკნელი გასტროლი მოზჟუხინის

ოქროს მამალი

ნის. 1096. 2—1

სახელმწიფო ოპერა

კვირას 12 აპრილს

კომპოზიტორ

ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის

30 წ. მოღვაწეობის იუბილე

1. **აბესალომ და ეთერი**

3 და 4 მოქმედება

2. **დაისი**

1 მოქ.

3. **მილოცვები**

მილოცვების დროს შესრულებულ იქნება იუბილიარის ახალი ნაწარმოები და რომანსები

ნ. 1088 5—3

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—21

ს. მ. უ. ს. **პოლიგრაფიული ტრესტი** **ს. მ. უ. ს.**

იწვევს დაინტერესებულ პირებს,

აიღონ შენობის აშენება

ს. მ. უ ს. პოლიგრაფიული ტრესტი იწვევს დაინტერესებულ პირებს აიღონ ორსართულიან შენობის აშენება სტამბისათვის.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე გარდა უქმე დღეების, პოლიგრაფიულ ტრესტის კანცელარიაში—გროსეს ქ. № 2, დილის 10—12 საათამდე.

განცხადებები მიიღება იძვე.

პოლიგრაფტრესტი.

2—1 ნ. 1097

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—16

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი

თუხარელისა

კბილის და ღვიძლის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 სათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—7

თბილისის სასაკლაოებმა

გახსნეს მწვანე ბაზარში მჭედლების ქუჩაზე № 2 მაღაზია № 1856, სადაც იყიდება მხოლოდ თვითონ

სასაკლაოების საკუთარ ქარხნის ნაწარმოები

მაღაზია ღიაა ყოველ დღეს და შეუძლიან აკმაყოფილოს თავისი მუშტრები იაფ ფასებში და ამასთან საუკეთესო თვისების და სანიტარული ზედამხედველობის ქვეშ დამზადებული ნაწარმოებით, როგორც არიან:

კახური

ლორების

ბარკლები,

გვერდები,

მკერდები

და ბეჭები,

აგრეთვე სხვადასხვაგვარი **ძეხვეულობა და სალტისონი.**

ნ. 1090 6—2.

სასაკლაოების დირექცია.

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—25.

სურამ-ხაშურის და ბორჯომის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ი. ძ. ძურღევანიძე ამით აცხადებს, რომ 14 აპრილს ა | წ. დილით 10—12 საათ: ქ. ბორჯომში მინერალურ წყლების სასტუმროში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მოძრავი ქონება ე. ი. სხვადასხვა შინაური ავეჯეულობანი, კუთვნილი: არჩილ ახათიანისა და ლავრენტი სარიშვილისა—ბორჯომის საკურორტო მთავარ სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლად—3217 მან. კვალობაზე, თანახმად თბილისის საოლქო სასამართლოს აღმასრ. ფურცლისა 30 დეკემბრიდან 1924 წ. № 28782. აღწერილი ქონებანი შეფასებულია 671 მ.ნ.

915 1—1

სახელმწიფო

ბუხჰალტრო კურსებზე

(ყოფ. პ. ზუმბაძისა და ინწკირველისა)

ახალ მსმენელების მეცადინეობა დაიწყება 10 აპრილს. კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) 1) **განათლების კომისარიატში** (ოთახი 5) 1—2 საათამდე, 2) **კურსების ბინაზე** საღამოს 5—7 საათამდე. (ყოფილი ქალთა პირველ გიმნაზიის შენობა, კეცხოველის ქუჩა, № 12).

კურსების გამგე

მ. თაქთაქიშვილი

№ 884 3—3

გამოვიდა

და

იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ **გაზ. „კომუნისტი“-ს** მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 5—5. **გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.**

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—2

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—17

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—2

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18

შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—25

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სახ. თეატრი „ნოვ“-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—2

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—5

ექიმი ვ. ნ. ჩუკარინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.

25—11 საღამოს—5—6 საათ.

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი სერგო პანტელეიმონის ძე გედევანიშვილის სახელზე № 6904. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 914

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი მოცემული 1-ლი უბნის კომის. სამხედრო მაგიდიდან ვლადიმერ ფუთურიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 911

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2077 მოცემული მე-9 უბ. სამხ. მაგიდიდან ვლადიმერ თომას ძე ინაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 910

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 39998 ანეტა მაქსიმეს ასულის ხუციშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 907

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი სერიოჟა მურადოვის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 905 (ა)

დაიკარგა ქართ. მსროლელ დივიზიის ცხენოსან დივიზიონიდან მოცემული „პირადი წიგნაკი“ № 182 ფვადო შვებულებაში დათხოვნის შესახებ, პოლიკარპე გვენეტაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 905

ტირაჟი—21.000

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საბ. [illegible] ქ. № 4